ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

ხუთშაბათი, 27 აგვისტო, 2015 №200 (6820) ფასი: 30 თეთრი

საქართველოს ნატო-ს გენერალური მდივანი ეწვია

გვ.2

ზაქარია ქუცნაშვილი: „კრედიტის დოლარში გაცემა უნდა აიკრძალოს“

გვ.3

ვისი ბრალია ეროვნული ვალუტის გაუფასურება?

გვ.2

ეკონომიკას, ბიზნესს სჭირდება იაფი ფული

ლარი ხელისუფლებას გადაიყოლებს?

გვ.3

ტარიელ ფუტკარაძე: „24 აგვისტოს მარგველაშვილს არ მივუწვევივარ“

გვ.4

გვ.6

10.000 სტუდენტი სახელმწიფო ფინანსებით ისწავლის

ლევან კალანდაძე: „ლარზე მოთხოვნა უნდა გავზარდოთ“

გვ.6

ISSN 1987-9385

ამერიკაში 2 ჟურნალისტი პირდაპირ ეთერში მოკლეს

Alison Parker

Adam Ward

გუშინ, 26 აგვისტოს, აშშ-ის ვირჯინიის შტატში პირდაპირ ეთერში ინტერვიუს დროს 2 ჟურნალისტი მოკლეს.

დაღუპულები არიან ტელეკომპანია WDBJ7-ის ჟურნალისტი, 24 წლის ელისონ პარკერი და ოპერატორი, 27 წლის ადამ უარდი.

ქალი, რომელთანაც ინტერვიუ მიმდინარეობდა, დაჭრილია.

ინციდენტი მაშინ მოხდა, როდესაც ელისონ პარკერი ინტერვიუს იღებდა ადგილობრივი სავაჭრო ცენტრის, ბრიჯუოტერ პლაზას, კლიენტთან მცირე ბიზნესის შესახებ.

მკვლელობაში ეჭვმიტანილი მოკლული ჟურნალისტების ყოფილი თანამშრომელია. მისი სახელია ვესტერ ლი ფლანაგანი. ფიქრობენ, რომ მას ყოფილი კოლეგები შეიძლებოდა მათი არაპროფესიონალიზმის გამო მოეკლა.

ტელეკომპანია WDBJ7 ადგილობრივი კომპანიაა, რომელიც 1955 წელს დაარსდა. მაუწყებლობა ხორციელდება ვირჯინიის შტატის ქალაქებზე ლინჩბურგსა და როანოკზე.

მონეტა, სადაც ტრაგედია მოხდა, ამ ქალაქებს შორის მდებარეობს.

ნიუპოსტი

ვისი ბრალია ეროვნული ვალუტის გაუფასურება?

ლარის გაუფასურებაში საზოგადოების ერთი ნაწილი მოქმედ მთავრობას ადანაშაულებს, ხოლო მეორე ნაწილი – ნაციონალურ მოძრაობას.

ლია ოსაძე

მწერალი **რეზო მიშველაძე** ამბობს, რომ ლარი არც ისე ტრაგიკულ მდგომარეობაშია და ლარის გაუფასურება გლობალური მოვლენაა.

– ლარი მიბმულია მსოფლიო პროცესებთან და ყველაფერი ისე ხდება, როგორც უნდა

მომხდარიყო. ნაციონალების ლიდერები რომ ყვირიან, არიქა, დავიღუპეთო, ეს პროვოკაციაა, – თვლის მწერალი.

რეზო მიშველაძე ამბობს, რომ ბანკის ვალი არ ჰქონია და არც აქვს, მაგრამ ძალიან ეცოდება ჩვენი მოსახლეობა.

– მათ საიმედოდ უნდა ვთქვა, რომ ყველანაირი სიტუაციიდან არის გამოსავალი.

მთელი ცხოვრება ხელმოკლე ინტელიგენტის ხელფასით ვცხოვრობდი და ახლაც ასე ვცხოვრობ. ადრე თუ ბაზარი შედარებით იაფი იყო, ოჯახში უფრო მეტი სანოვაგე მომქონდა. ახლა თუ ყველაფერი გაძვირდა, რას ვიზამ, 2 კილო ვაშლის მაგივრად, 1 კილო ვაშლს ვიყიდი. ჩემს ოჯახს ლარის გაუფასურება დიდად არ დამჩნევია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ლართან დაკავშირებული პრობლემები არ მადარდებს, – ამბობს მწერალი.

◆ ◆ ◆

პუბლიცისტი **თაკო ჩარკვიანი** დიდი ხანია, ელოდა, რომ ყველაფერი უკეთესობისკენ წავიდოდა, აშენდებოდა საწარმოები, განვითარდებოდა ბიზნესი და ასე შემდეგ, მაგრამ ხელშეწყობა არც ერთ სფეროში არ ჩანს. ერთადერთი კარგი, რაც ამ მთავრობამ გააკეთა, ეს იყო ცე ჰეპატიტის პროგრამა, რომელიც მართლა უნიკალურია.

– მთავრობაში რაღაცებია შესაცვლელი. მინისტრების გამოსვლა და მათი მხრიდან ხალხის დამშვიდება, არაფერს მოგვიტანს. მთავარია შეცდომის აღიარება, რა მოხდა, რომ აღიარო შეცდომა? მთავრობაში ძალიან ბევრი ვინმეა გამოსაცვლელი, – ფიქრობს პუბლიცისტი.

თაკო ჩარკვიანი არ მალავს, რომ „ქართულ ოცნებას“ მისცა ხმა.

– ასე თუ გაგრძელდა, არჩევნების დროს ეს მთავრობა ბევრ ხმას დაკარგავს.

პუბლიცისტი ამბობს, რომ მისი ოჯახი ბანკზეა დამოკიდებული.

– ბიზნესმენები სულ ბანკით მოძრაობენ, საზღვარგარეთაც ასე ხდება. ლარი რომ ასე დავარდა, წამოიდგინეთ, რა მდგომარეობაში ჩავარდება ბიზნესი. ჩემი მეუღლე გონივრულად იქცევა და მაქსიმალურად ახერხებს გადასახადების გადახდას. ბოლო დროს რაღაცების ყიდვა არც კი გამხსენებია, რადგან მთელ ყურადღებას ბანკზე და სესხზე ვამახვილებ.

თაკო ჩარკვიანი თვლის, რომ ბანკებიც ცუდ მდგომარეობაში არიან.

– სიტუაცია ძალიან კრიტიკულია და, იმედია, სექტემბრიდან რაღაცა გვეშველება. მაგრამ თუ საწარმო არ შეიქმნა და ბიზნესი არ განვითარდა, ლარს არაფერი გაამყარებს, – ამბობს პუბლიცისტი.

◆ ◆ ◆

რეჟისორი **დიმიტრი ჯაიანი:**

– უფულო კაცი ვარ და არასოდეს მქონია ბანკის ვალი. ლარის კურსთან დაკავშირებული პრობლემები მხოლოდ პანიკაა და მეტი არაფერი.

რეჟისორი ამბობს, რომ ეკონომია ოჯახში არაფერზე გაუკეთებია და არც აკეთებს.

– მექნება ფული, ვყიდულობ, არ მექნება, არ ვიყიდი.

ის თვლის, რომ 2-3 თეთრით რაღაცების გაძვირება არაფერს ნიშნავს.

– ბენზინის ფასი რომ შემცირდა, რატომ ამას არ იძახიან? ეს ყველაფერი ნაციონალური მოძრაობის ხრიკებია. მთელ ქვეყანას ამ მოძრაობის სახით ჭირი მოედო და სანამ ამ ჭირს არ მოვიშორებთ, არაფერი გვეშველება.

◆ ◆ ◆

პოეტი **რეზო ამაშუკელი** მიმდინარე მოვლენებს ეროვნული ბანკის პრეზიდენტ გიორგი ქადაგიძეს აბრალებს.

– არ შეიძლება, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ის ადამიანი იყოს, რომელიც ადეიშვილის მარჯვენა ხელი იყო. რაც ეს ხელისუფლება მოვიდა, სულ საბოტაჟშია. მღვრიე წყალში ყველას თევზის დაჭერა უნდა. გამოსავალი მხოლოდ ერთია, ყველა ქართველი თავის ქვეყნისთვის უნდა გაერთიანდეს და მხოლოდ მაშინ ეშველება ჩვენს ქვეყანას.

პოეტი ამბობს, რომ 2 ოქტომბერს ამ ხელისუფლებას ნაციონალური მოძრაობა ციხეში რომ ჩაეყუდებინა, ლარიც გამყარებული იქნებოდა და ქვეყანაც. ახლა კი გვიანია ყველაფერი.

– საერთოდ, წუწუნი არ მიყვარს, მაგრამ

მაინც ვიტყვი. ოჯახში 12 სული ვართ, უფროსები უმუშევრები, ამიტომ ბანკში სესხს ვინ მომცემდა? ოჯახისთვის რომ მიმეხედა, იძულებული ვიყავი, ბევრი სურათი გამეყიდა, – ამბობს რეზო ამაშუკელი.

◆ ◆ ◆

ლარის ასეთმა ვარდნამ ძალიან იმოქმედა მომღერალ **გიო ხუციშვილის** ფინანსებზე.

– როგორც უმრავლესობას, მეც მაქვს ბანკიდან აღებული სესხი და იძულებული ვარ, ზედმეტი თანხა გადავიხადო. თითქმის გაორმაგდა გადასახადი. ამიტომ ვცდილობ, ყველაფერი მოვიკლო და ბანკის გადასახადი დავფარო, – ამბობს მომღერალი.

ის ბევრ რამეზე ამბობს უარს.

– ვყიდულობთ იმას, რაც აუცილებელია, ხოლო ფუფუნების საგნების შეძენაზე უარი ვთქვით. იმედია, ეს კრიზისი მოგვარდება. ოპტიმისტი კაცი ვარ და მინდა, უკეთესის იმედი მქონდეს.

საქართველოში მხოლოდ სავალუტო კრიზისია

შორენა კოწოწაშვილი

ეკონომისტი ოთარ ხუფენია ლარის გაუფასურებას საგარეო და საშინაო ფაქტორებს უკავშირებს.



– საგარეო ფაქტორები ობიექტურ კანონზომიერებად უნდა მივიღოთ. ეს არის დოლარის საყოველთაო გამყარება მთელ მსოფლიოში. მეორე ფაქტორია ჩვენი ძირითადი პარტნიორების ვალუტების დევალვაცია. ყაზახეთმა ცოტა ხნის წინ შემოიღო ტენგეს თავისუფალი მცურავი კურსი, რაც ჩვენ დიდი ხანია გვაქვს და ერთ ღამეში ტენგეს დევალვაციამ თითქმის 30% შეადგინა, – ამბობს ეკონომისტი.

ის ფიქრობს, რომ საქართველოში ჯერჯერობით ეკონომიკური და საფინანსო კრიზისი არ არის. არის მხოლოდ სავალუტო კრიზისის ნიშნები.

მისი აზრით, საზოგადოებაში ცრუ მოლოდინია იმის შესახებ, რომ ზედამხედველობის ახალი სამსახურის ფორმირებით მყისიერად მოხდება ლართან მიმდინარე პროცესების დარეგულირება.

– ეს ძალიან მცდარი მოლოდინია. უცებ ეს ვერ მოხდება, – ამბობს ექსპერტი.

ინსტიტუციონალური სქემების შეცვლით მყისიერი შედეგები არსად მიიღწევა, მათ შორის, არც საქართველოში. 2008 წლის ეკონომიკური კრიზისი უამრავ სახელმწიფოს უკან დაუბრუნდა, ზედამხედველობის სამსახურები – ცენტრალურ ბანკებს.

– ჩვენც გვქონდა გამოყოფილი ზედამხედველობის სამსახური, მერე დავაბრუნეთ. ახლა ისევ ვცდილობთ რაღაც სისტემის შექმნას. ასე რომ, თუ ყურადღებით წავიკითხავთ იმ შემოქმედებით კონკურენციას პარლამენტსა და პრეზიდენტის ადმინისტრაციას შორის, ორივე დოკუმენტს პირუთვნელად თუ შევაფასებთ, ჩემთვის პირადად ჩანს რეალური შესაძლებლობა იმისა, რომ ერთსა და მეორე ხედვას შორის კონსესუსი დადგეს, – ფიქრობს ოთარ ხუფენია.

საქართველოს ნატო-ს გენერალური მდივანი ეწვია

საქართველოს ნატო-ს გენერალური მდივანი ეწვია. საქართველოს ორდღიანი ოფიციალური ვიზიტით ნატო-ს გენერალური მდივანი იანს სტოლტენბერგი სტუმრობს. სტოლტენბერგი თბილისში რამდენიმე წუთის წინ ჩამოფრინდა. ნატოს გენერალურ მდივანს თბილისის საერთაშორისო აეროპორტში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი თამარ ბერუჩაშვილი და ნატოს სამეკავშირეო ოფისის ხელმძღვანელი უილიამ ლაჰიუ დახვდნენ.

იენს სტოლტენბერგის ოფიციალური ვიზიტი ხვალ დაიწყება. ვიზიტის ფარგლებში ნატო-ს გენერალური მდივანი შეხვედრებს გამართავს საქართველოს პრეზიდენტთან, პრემიერ-მინისტრთან, პარლამენტის თავმჯდომარესთან, საგარეო საქმეთა მინისტრთან და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან. გენერალური მდივანი პატივს მიაგებს საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპული მებრძოლების ხსოვნას და გვირგვინით შეამკობს გმირთა მემორიალს.

27 აგვისტოს კრწანისის სასწავლო ცენტრის ტერიტორიაზე გაიმართება ნატო-საქართველოს ერთობლივი წვრთნისა და შეფასების ცენტრის ინაუგურაცია. გენერალური მდივანი შეხვდება საქართველოს შეიარაღებული ძალების ასეულს, რომელიც ნატო-ს სწრაფი რეაგირების ძალებისთვის გადამზადდა.

ოფიციალური შეხვედრების ფარგლებში განიხილება საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების პროცესთან დაკავშირებულ საკითხთა სრული სპექტრი და ამ მიმართულებით დაგეგმილი შემდგომი ნაბიჯები, უელსის სამიტზე მიღებული არსებითი პაკეტის იმპლემენტაციის მიმდინარეობა და ვარშავის 2016 წლის ნატო-ს სამიტისთვის მზადების პროცესი.

ომარ ნიშნიანიძე: „ლართან დაკავშირებით პოზიტიური პროგნოზი საზოგადოების დამშვიდების მცდელობას უფრო ჰგავს“

დეპუტატ ომარ ნიშნიანიძის თქმით, მთავრობის წევრების პოზიტიური პროგნოზი ლარის კურსთან დაკავშირებით, საზოგადოების დამშვიდების მცდელობას ჰგავს.

ამის შესახებ ნიშნიანიძემ „სპუტნიკ-ჯორჯიასთან“ ინტერვიუში აღნიშნა.

ომარ ნიშნიანიძე:

– მათი განცხადებები უფრო დამშვიდებას ჰგავს, რადგან პანიკამ შეიძლება უარესად იმოქმედოს ლარის კურსზე. თუმცა, ლარის დასტაბილურების იმედი მეც მაქვს იმიტომ, რომ სექტემბერში გიორგი ქადაგიძის ფაქტორი ვეღარ ითამაშებს.

ჩვენ დავძლევთ ვეტოს და ის კომისია შეიქმნება, – რომელიც შემდეგ გააკონტროლებს მის ქმედებებს, – განაცხადა ომარ ნიშნიანიძემ.

დეპუტატის თქმით, პრეზიდენტს თავის დროზე, ვეტო კი არ უნდა დაედო საბანკო ზედამხედველობის კანონზე, არამედ თვითონ უნდა შემოსულიყო საკანონმდებლო ინიციატივით, რომ როგორმე წერტილი დასვა ეროვნული ბანკისა და გიორგი ქადაგიძის თვითნებობასათვის.

ნიუსპრეს

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ლარი ხელისუფლებას გადაიყოლებს?

ნონა ცაბაძე

ლარი გაუფასურებას კვლავაც განაგრძობს. ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ლარის კრიტიკულ ზღვრამდე ვარდნას, შესაძლოა, ქვეყანაში პოლიტიკური მღელვარება მოჰყვეს. ამ მოსაზრებას არ იზიარებს ექსპერტი რამაზ საყვარელიძე.

– საქართველოში ეკონომიკურ საკითხებზე იშვიათად გამოდიან ქუჩაში, პოლიტიკურზეკი – თავისუფლად, – ამბობს ექსპერტი.

– ხომ შეიძლება ეს ეკონომიკური პრობლემები პოლიტიკურში გადაიზარდოს?

– არ არის გამორიცხული, თუკი ეს თემა სხვა თემებსაც მიეწებება. საზოგადოებას ბევრი პრეტენზია აქვს ხელისუფლების მიმართ. რაც კარგი კეთდება, ხელისუფლება იმასაც ვერ ახერებს, რომ ეს საზოგადოებამდე მიიტანოს. ხელისუფლების პასიურობასთან დაკავშირებით და კიდევ ბევრი პრეტენზიის გამო, შეიძლება შეიქმნას პოლიტიკური მუხტი. მარტო ეკონომიკური თემით, მეეჭვება, რომ ეს მუხტი ქართულ სინამდვილეში დაგროვდეს.

ხელისუფლების რეიტინგი ეცემა. რამაზ საყვარელიძეს მიაჩნია, რომ ხელისუფლებისადმი ნდობის კარგვა ქრონიკული მოვლენაა. როგორც წესი, ახალი ხელისუფლების მოსვლისას ნდობის ხარისხი მეტია, ხოლო როცა საზოგადოება ცხოვრებას იწყებს ახალი ხელისუფლების პირობებში, ნდობის ხარისხიც ქვევით მიდის. ექსპერტი თვლის, რომ ამ მხრივ ჩვენ არაორდინარული არაფერი ველოდებიდ, რადგან, ამერიკა რომ ამერიკაა, მისი ლიდერების რეიტინგიც ეცემა მათი მოღვაწეობის დაწყების შემდეგ.

ხელისუფლება შეცდომას უშვებს, როდესაც შექმნილ სიტუაციაში საპანიკოს და საგანგაშოს ვერაფერს ხედავს და ვითარების გამწვავებას ექსპერტებს და პოლიტიკოსებს აბრალებს.

– როდესაც ასეთი მოძრაობაა ლარის კურსისა და ასეთი მტკივნეულია ეს მოძრაობა თითოეული მოქალაქისთვის, იმის თქმა, რომ დამშვიდდით, ყველაფერი კარგად არის, ძალიან ცუდი დამამშვიდებელია. დამაჯერებელი პასუხი რომ დაიდოს, თუ რატომ ხდება ასე, ეს უმჯობესი იქნება თავად ხელისუფლებისთვის, – ამბობს ექსპერტი.

ამ მოვლენებს ხელისუფლება ეროვნული ბანკის საბოტაჟს აბრალებს, რაც რამაზ საყვარელიძისთვის გაუგებარია:

– თუკი საბოტაჟის ნიშნებია, ამას გამოცხადება რად უნდა?! ყველა ინსტრუმენტი, რაც საკითხის გამოკვლევასა და შემდგომ რეაგირებას გულისხმობს, ხელისუფლებას ხელში აქვს.

ექსპერტი მიიჩნევს, რომ როდესაც საჯაროდ ხდება რაღაცაში დადანაშაულება რომელიმე მხარის და ამ დროს საგამოძიებო პროცესი გაჩერებულია, სწორედ ეს არის გამაღიზიანებელი.

– ექსპერტების დიდი ნაწილი, რომელიც უფრო ჩახედულია ეკონომიკაში, ამბობს, რომ საბოტაჟის ნიშნები არის. თუკი ამ ადამიანების პოლიტიკური ბიოგრაფიებიდან ამოვალთ, ვისაც ეს საბოტაჟი ბრალდება, კითხვის ნიშნები ჩნდება, ვინაიდან ქადაგიძეს პოლიტიკურად მოტივირებული ნაბიჯები არაერთხელ გადაუდგამს. თუმცა ეს მაინც ეჭვებია და ამ ყველაფერს დამაჯერებლობა მხოლოდ გამოძიებამ შეიძლება შემატოს, – დასძენს ექსპერტი.

რამაზ საყვარელიძის აზრით, როდესაც ასეთი ექსტრემალური ვითარებაა, აუცილებლად იქმნება საპარლამენტო საგამოძიებო კომისია.

– რატომ არ შეიქმნა საპარლამენტო კომისია?

– ეს არის ისევ და ისევ ის პასიურობა, რომელსაც უჩვიანან ხელისუფლებას. ხელისუფლებამ თავიდანვე მიგვანიშნა, რომ ის პასიური იქნებოდა.

– რას გულისხმობთ?

– დღეს საკონსტიტუციო გადაწყვეტილებებს სერიოზული პრობლემები უდგას. როდესაც „ოცნება“ მოვიდა ხელისუფლებაში, სააკაშვილი ერთი წელი კვლავ პრეზიდენტი იყო. სწორედ იმ დროს უნდა განეხორციელებინა „ოცნებას“ საკონსტიტუციო ცვლილებები და დღეს ამ პრობლემების წინაშე აღარ იდგებოდა. რატომ იყო ასეთი პასიური და ამ ერთი წლის განმავლობაში რატომ ვერ მოახერხა საამისოდ ერთი სხდომის გამართვა, კაცმა არ იცის. მსგავსი ტიპის პასიურობა ხშირად ახლავს ამ ხელისუფლების მოღვაწეობას და ამის მიზეზიც არსებობს.

– მაინც რა არის ამის მიზეზი?

– ის, რომ ამ ხელისუფლებას არ აქვს მართვის გამოცდილება. სააკაშვილი-ჟვანია-ბურჯანაძის გუნდი რომ მოვიდა ხელისუფლებაში, მათ მართვის გამოცდილება შევარდნაძის პერიოდიდან ჰქონდათ. ეს დაეტყოთ კიდეც, რადგან მალე აიღეს ხელში მართვის სადავეები. შევარდნაძესაც ჰქონდა მართვის გამოცდილება და გაძლო კიდეც ყველაზე მეტხანს.

◆ ◆ ◆

ლარის გაუფასურება მძიმე მდგომარეობაში აყენებს მოსახლეობას, ლოგიკურად ისმის კითხვა:

– ლარი ხომ არ იქნება ის თემა, რომელიც გადაიყოლებს ხელისუფლებას?

ამ კითხვას ექსპერტი ასე პასუხობს:

– ადამიანი ძველ სახლს არ დაანგრევს მანამდე, სანამ ახალ სახლს არ შეიგულებს. არსებულ ხელისუფლებასაც ადამიანი არ უარყოფს იქამდე, ვიდრე მისი ალტერნატივა არ ეყოლება. ასეთი ალტერნატივის თემა დგება მაშინ, როდესაც ვლაპარაკობთ ხელისუფლების შეცდომებზე. მაგრამ დღეს ხალხი პირს საითკენ იზამს? არსებობს ასეთი ალტერნატივა? ძალიან ბევრ ხარვეზს აპატიებს მოსახლეობა ხელისუფლებას, თუ მას ასარჩევი ალტერნატივა არ აქვს.

– დღეს ხელისუფლება უალტერნატივოა?

– ამ შემთხვევაში ალტერნატივების სპექტრი არ ჩანს ისეთი, რომ მოსახლეობამ ზურგი შეაქციოს არსებულ ხელისუფლებას. მით უმეტეს, რომ ამ ხელისუფლების ხარვეზები უფრო გამოუცდელობის ბრალია, ვიდრე ბოროტი განზრახვისა. ამ პირობებში, როცა ალტერნატივად უკვე უარყოფილი ნაციონალური მოძრაობა ჰყავს ხელისუფლებას, მეეჭვება, „ქართულ ოცნებას“ მნიშვნელოვანი საფრთხე ემუქრებოდეს. თუმცა არჩევნების შემდეგ, შესაძლოა, „ოცნებას“ აღარ ჰქონდეს იმდენად ძლიერი პოზიციები პარლამენტში, როგორიც დღეს აქვს.

ზაქარია ქუცნაშვილი: „კრედიტის დოლარში გაცემა უნდა აიკრძალოს“

მარიამ მჭედლიშვილი

ქვეყანაში მძიმე სოციალური მდგომარეობაა. ხელისუფლებამ 2012 წლის შემდეგ განახორციელა გარკვეული სოციალური პროგრამები, თუმცა, ახლა ქვეყანა მძიმე დღეში აღმოჩნდა იმის გამო, რომ ადამიანებს ცხოვრება სულ უფრო უძვირდებათ.

დეპუტატ ზაქარია ქუცნაშვილის აზრით, ამის მთავარი მიზეზი სუსტი ეკონომიკაა. სიღარიბის დაძლევა შესაძლებელია მხოლოდ ძლიერი ქართული ეკონომიკის შექმნით.

ძლიერი ეკონომიკა რამდენიმე კომპონენტს გულისხმობს. პირველ რიგში, ესაა თავისუფალი მეწარმეობა და კონკურენტული გარემო. დეპუტატი ამბობს, რომ სიტუაცია ამ მხრივ გაუმჯობესდა.

– თუ ადრე ქვეყანაში ნავთობის იმპორტიორი 6 კომპანია იყო, ახლა 18-ია. ფქვილის შემოტანაც მკაცრად შეზღუდული იყო. ახლა ფქვილი შეუზღუდავად შემოაქვთ. ანუ, შეიქმნა თავისუფალი და კონკურენტული გარემო, – ამბობს ზაქარია ქუცნაშვილი.

მნიშვნელოვანია სახელმწიფოს სწორი დამოკიდებულება მეწარმეების მიმართ. სახელმწიფო მეწარმეს უნდა უყურებდეს არა მარტო როგორც გადასახადების გადამხდელს, არამედ, როგორც პარტნიორს.

– გახდნენ მეწარმეები სახელმწიფოს პარტნიორები?

– ამ ხელისუფლების მოსვლის შემდეგ არ შემხვედრია ბიზნესმენი, რომელიც იტყვის, რომ მას სახელმწიფო ახრჩობს და გასაქანს არ აძლევს. სახელმწიფომ მოახერხა, რომ გადასახადის გადამხდელები პარტნიორებად ექცია. ბიზნესზე წნეხი აღარ არსებობს.

– კიდევ რა არის საჭირო ძლიერი ეკონომიკისათვის?

– ეკონომიკას, ბიზნესს სჭირდება იაფი ფული. ეს მნიშვნელოვანი გარემოებაა ოპერირებისა და გაფართოებისათვის.

– ეს ისევ პრობლემატურია..

– მდგომარეობა უკეთესობისკენაა შეცვლილი. თუ ადრე ბანკებში იპოთეკური სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთი 15-20 პროცენტი იყო, ახლა ეს ციფრი 9 პროცენტამდე შემცირდა. შემცირებულია საპროცენტო განაკვეთი სამომხმარებლო სესხებზეც. თუმცა, ევროპაში ფული უფრო იაფია.

◆ ◆ ◆

დეპუტატი ამბობს, რომ ძლიერი ეკონომიკისთვის მნიშვნელოვანი გარემოებაა საგარეო ბაზრები.

– ურთულესი მდგომარეობის პირობებში ჩვენ მოვახერხეთ რუსეთის ბაზარზე ჩვენი პროდუქციის დაბრუნება. სხვა ბაზრებიც უნდა ვეძებოთ. უკრაინის ბაზარი დაგვეკეტა და თურქეთში შექმნილი პრობლემების გამო, ამ ქვეყანასთანაც გართულდა ვაჭრობა.

– ახალი ბაზრები სად უნდა მოვიძიოთ?

– ამ მხრივ ერთ-ერთი ნათელი წერტილია ირანი. ირანის მიმართ სახელმწიფოებმა დამოკიდებულება შეიცვალეს. ეს სიგნალია საიმისოდ, რომ ჩვენ, მეზობელმა ქვეყნებმა, შევძლოთ მასთან მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობების წარმოება.

◆ ◆ ◆

ზაქარია ქუცნაშვილი ამბობს, რომ ძლიერ ეკონომიკას სჭირდება სამეწარმეო გარიგების დაცულობა. თუ ქვეყანაში ნორმალური სასამართლო არსებობს, ეს პრობლემა მოგვარებულია. თუ სასამართლო თავისუფალი არ არის, მაშინ მართალი შეიძლება დაიჩაგროს და გამტყუნდეს, მტყუანი კი – გამართლდეს.

კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც საჭიროა ძლიერი ეკონომიკისათვის, ესაა ცოდნა. დახურული ეკონომიკა, რომელიც საბჭოთა კავშირში იყო, სხვაა. ახლა ღია ეკონომიკა გვაქვს. ის საჭიროებს განახლებულ ცოდნას. მეწარმემ ბაზარზე თავი რომ შეინარჩუნოს, ასეთი ცოდნა აუცილებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის გაკოტრდება.

– აი, ეს გარემოებებია საჭირო ძლიერი ეკონომიკისათვის, – ასკვნის დეპუტატი, – ჩვენ ამ მიმართულებით ნაბიჯები გადავდგით.

◆ ◆ ◆

უახლოეს ხანში თუ მოხერხდება ნაბიჯების გადადგმა იმისათვის, რომ მოსახლეობას მდგომარეობა შეუმსუბუქდეს?

ამ კითხვას ზაქარია ქუცნაშვილი ასე პასუხობს:

– ჩვენ უკვე მოვახერხეთ ვაჭრობის უარყოფითი ბალანსის შემცირება. ეს პირდაპირ აისახება ლარის კურსზე. ექსპორტი გაიზარდა. ეს ბალანსი საგრძნობლად არის გაუმჯობესებული. მთავრობა სხვა გადაწყვეტილებებსაც მიიღებს. კერძოდ, ამოიღებს, მაგრამ არ დახარჯავს მილიარდამდე ლარს. ეს ხელს შეუწყობს ლარის კურსის ამაღლებას. ასამოქმედებელია საკანონმდებლო ბერკეტებიც. ასამუშავებელია ლარში დეპოზიტების სტიმულირების, ასევე, სესხების დოლარში გაცემის აკრძალვის საკანონმდებლო მექანიზმები.

– დოლარებში სესხების გაცემის აკრძალვა - შესაძლებელია?

– ასეთი მექანიზმი მოქმედებს ევროპულ ქვეყნებში. ჩვენში სესხების 95 პროცენტი დოლარებში გაიცემა. ეს ცუდად მოქმედებს საფინანსო სისტემაზე. ნუ დაგვაიწყდება გარე ფაქტორების ზემოქმედებაც. ნუ მოვატყუებთ მოსახლეობას, რომ თურქული ლირა თუ გაუფასურდა, ეს ჩვენ არ შეგვეხება. ჩვენზე ეს პირდაპირ აისახება.

აკაკი ასათიანი: „პრობლემა არა კონსტიტუციას, არამედ პოლიტიკოსებს აქვთ“

საქართველოს ტრადიციონალისტთა კავშირის ლიდერის აკაკი ასათიანის განცხადებით, პრობლემა არა კონსტიტუციას, არამედ პოლიტიკოსებს აქვთ.

ამის შესახებ ასათიანმა „სპუტნიკ-ჯორჯიასთან“ ინტერვიუში განაცხადა.

აკაკი ასათიანი:

– მრგვალი მაგიდის დროს ჩვენ რაღაც კონსესუსი მოვძებნეთ აფხაზებთან და აღვნიშნეთ, რომ ეს დამოუკიდებლობასთან ერთად ხელისუფლების მთავარი მიღწევაა. სამწუხაროდ, ცხინვალთან დაკავშირებით მაშინ იგივე ვერ მოვახერხეთ.

ახლა არის დრო, ვიფიქროთ, თუ როგორ მოვაგვაროთ და დაველაპარაკოთ აფხაზებსა და ოსებს, მაგრამ ამის რეალურ გამკეთებელს დღეს ვერავის ვხედავ. მთავარ პრობლემად ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა მესახება და არა ის აჟიოტაჟი, რომელიც დღეს კონსტიტუციაში შესატანი ცვლილებების გარშემოა ატეხილი.

მისივე თქმით, „ახალი კონსტიტუციის დაწერა უფრო შეგვიძლია, ამიტომ მთავარია, ჯერ ქვეყნის ტერიტორიული და ეთნიკური პრობლემების მოგვარება, რადგან ამის გარეშე ქვეყნის წინსვლა შეუძლებელია“.

ნიუსპრესი

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამამჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ჟალბაგონი ფიქრია

ტარიელ ფუტკარაძე: „24 აგვისტოს მარგველაშვილს არ მივუწვევივარ“

გულიკო ბალაძე

24 აგვისტოს პრეზიდენტმა მარგველაშვილმა კონსტიტუციის 20 წლისთავთან დაკავშირებით თავის რეზიდენციაში 900 კაციანი მიღება მოაწყო. ითქვა, რომ მიღებაზე, სხვა მაღალი რანგის სტუმრებთან ერთად, მიწვეული იყვნენ ყველა პარლამენტის დეპუტატები, რომლებიც არჩეულ იქნნენ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ.

ზვიად გამსახურდიას დროინდელი უზენაესი საბჭოს დეპუტატი ტარიელ ფუტკარაძე ამბობს, რომ ის მიღებაზე არ მიუწვევიათ.

– ტენდენცია, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამომცხადებელი დეპუტატების იგნორირებას ახდენდნენ, გრძელდება ამჟამინდელი პრეზიდენტის მიერაც, – ფიქრობს ტარიელ ფუტკარაძე.

მისი აზრით, ქვეყნის სწორი განვითარებისთვის აუცილებელია, მომდევნო ხელისუფლებამ მაინც სათანადოდ დააფასოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე ხელმომწერი დეპუტატები.

– უზენაესი საბჭო იყო პირველი პარლამენტი, რომელმაც ისტორიული მისია შეასრულა – რეფერენდუმი ჩაატარა, რეფერენდუმის საფუძველზე 9 აპრილს გამოაცხადა დამოუკიდებლობის აღდგენა და რუსეთის ჯარს მიანიჭა საოკუპაციო ჯარის სტატუსი. უზენაესი საბჭოს იგნორირება აწყობთ ადამიანებს, რომლებსაც არ სურთ საქართველოს დამოუკიდებლობა და არ სურთ, რუსეთის ჯარს ჰქონდეს საოკუპაციო ჯარის სტატუსი, – ასეთია უზენაესი საბჭოს დეპუტატის მოსაზრება.



◆ ◆ ◆

1995 წლის პარლამენტმა შევარდნაძის დროს ცნო უზენაესი საბჭოს კანონიერება. ტარიელ ფუტკარაძე ამბობს, რომ ამ შეფასებას არც ერთი სამართლებრივი ქმედება არ მოჰყოლია.

– 1991 წლის შემოდგომაზე, ჯერ კიდევ ხელისუფლებაში ვიყავი, როდესაც დავწერე, რომ საერთაშორისო გარიგების შედეგად აღმოსავლეთ ევროპა და ბალტიისპირეთი წილად ხვდა დასავლეთს, ხოლო უკრაინა, ბელორუსი, შუა აზია და კავკასია დარჩა რუსეთს, რამაც გარდაუვალი გახადა ხელისუფლების დამხობა, – იხსენებს დეპუტატი.

მისი თქმით, რუსეთმა თავის წილხვედრ კავკასიაში დაამხო გამსახურდია და ელჩიბეი. ეს იყო დიდი საერთაშორისო გარიგება.

– მე ვწერდი, რომ თუ ქართველი ერი ერთიანი არ იქნებოდა, ამას გამოიყენებდა რუსეთი. ასეც მოხდა. ჭანტურიას, კიტოვანის, სიგუას, კონგრესმენებისა და მათი მომხრეების მიერ მოხდა ქართველი ხალხის დეზორიენტირება, რამაც შესაძლებელი გახადა ქართველი ერის ერთიანობის დარღვევა. ამიტომ ხელისუფლების დამხობა გარდაუვალი იყო, – თვლის ტარიელ ფუტკარაძე.

მისი აზრით, გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის სამართლებრივი შეფასება აუცილებელია. ამ ხელისუფლებამ ბოლომდე უნდა მიიყვანოს გამსახურდიას მკვლელობის გამოძიება და ამით ყველაფერი თავის ადგილზე დასვას.

◆ ◆ ◆

ტარიელ ფუტკარაძე მიიჩნევს, რომ დღეს მსოფლიოში ვითარება შეცვლილია, ვინაიდან დასავლეთი კავკასიით დაინტერესდა:

– კავკასიაში არის გიუმრის ბაზა სომხეთში. სანამ კავკასიაში გიუმრის ბაზაა, მანამდე შეუძლებელია სიტუაცია დამშვიდდეს. დასავლეთი დაინტერესებულია ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენით და უნდა, რომ კავკასია იყოს ნავთობსადენების დერეფანი.

ამ ეტაპზე საჭიროა დასავლეთის მხარდაჭერა, რომ საქართველო გამოვიდეს რუსული იმპერიული სივრციდან. ეს პროცესი აქტიურად იწყება 2008 წლიდან, როდესაც ცნობილი მოვლენები განვითარდა.

– გამსახურდიას ხელისუფლების დამხობიდან 2008 წლამდე რუსის ჯარი ითვლებოდა მშვიდობისმყვარე ჯარად. იმ ხელისუფლებებმა, რომლებიც არსებობდნენ გამსახურდიას დამხობის შემდეგ 2008 წლამდე, ოკუპანტს დაარქვა მშვიდობისმყვარე ჯარი. რაც გააკეთა ამ „მშვიდობისმყვარე“ ჯარმა 2008 წელს, საქვეყნოდ ცნობილია. 2008 წლიდან დაიწყო საქართველოსა და მთლიანად კავკასიის გამოსვლა რუსული იმპერიული სივრციდან, – ფიქრობს ტარიელ ფუტკარაძე.

დღეს ამერიკას სასიცოცხლოდ სჭირდება კავკასიის დერეფანი, კავკასიის ველი, მაგრამ რუსეთი არ თმობს კავკასიას და ძლიერი ბაზა გიუმრიში ცუდ დღეში აყენებს საქართველოს და ზოგადად, კავკასიის მომავალს.

რუსეთი ვერ მივა გიუმრის ბაზამდე, თუ არ გაიარა გორი-ბორჯომი-ბაკურიანის გზა. რუსეთი დაინტერესებულია, ამ ბაზამდე აღადგინოს რკინიგზა. ამისთვის მან ან უნდა მოახდინოს საქართველოს ხელახალი დაპყრობა, ან ხელისუფლება აიძულოს, გაატაროს რუსული სამხედრო შეიარაღება და აღადგენინოს გზა გიუმრის ბაზამდე.

ტარიელ ფუტკარაძე თვლის, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის მხარის დეოკუპაციამდე და რუსული ჯარის გასვლამდე ხელისუფლება არ უნდა წავიდეს არავითარ დათმობაზე.

– თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჩვენი ტერიტორიები აქვთ ოკუპირებული, იქ დგას რუსული ჯარი და განთავსებული აქვს რუსული ბაზები, გიუმრის ბაზასთან სახმელეთო ხაზის აღდგენაზე დათანხმება საქართველოს კაპიტულაცია იქნება, – ამბობს ტარიელ ფუტკარაძე.

არ დაუშვათ სკოლაში ახალი საგნის „მე და საზოგადოების“ შემოღება

დიმიტრი ლორთქიფანიძე, სოსო მანჯავიძე და ზვიად ტომარაძე პრემიერ-მინისტრს მიმართავენ

დიმიტრი ლორთქიფანიძე, სოსო მანჯავიძე და ზვიად ტომარაძე პრემიერ-მინისტრს მიმართავენ „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ წარმომადგენელი დიმიტრი ლორთქიფანიძე, თბილისის საკრებულოს წევრი სოსო მანჯავიძე და დემოგრაფიული განვითარების ფონდის დირექტორი ზვიად ტომარაძე პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს მიმართვას უგზავნიან.

ღია მიმართვაში მანჯავიძე, ლორთქიფანიძე და ტომარაძე სკოლებში ახალი საგნის – „მე და საზოგადოების“ დანერგვას აპროტესტებენ და მიიჩნევენ, რომ ის „წარმოადგენს ე.წ. ახალი აზროვნების ნიმუშს, რომელიც მთელ მსოფლიოში მრავალფეროვნებისა და ტოლერანტულობის ნიღბის ქვეშ უპირისპირდება კულტურულ, ეთნიკურ და რელიგიურ ტრადიციებს“.

მიმართვის ავტორები პრემიერ-მინისტრსა და მთავრობას მოუწოდებენ, არ დაუშვას სკოლებში აღნიშნული საგნის სწავლება.

„ინტერპრესნიუსი“ მიმართვას უცვლელად გთავაზობთ:

– როგორც ჩანს, ქვეყანაში არსებული უმძიმესი სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ფონი, რის გამოც საზოგადოების ყურადღება მოდუნებულია, საქართველოს განათლების მინისტრმა და მის უკან მდგომმა არასამთავრობოთა ქსელმა, რომელიც უხვად ფინანსდება ლიბერალური ინტერნაციონალის დონორი ორგანიზაციების მიერ გამოყოფილი გრანტებით, განათლების სიტემაში ეროვნული ცნობიერების დამანგრეველი საგნის დანერგვისთვის ხელსაყრელად მიიჩნიეს.

ახალი საგნის (მე და საზოგადოება) სწავლების დაწყება დაგეგმილია 3-4 კლასიდან და

წარმოადგენს ე.წ. ახალი აზროვნების ნიმუშს, რომელიც მთელ მსოფლიოში მრავალფეროვნებისა და ტოლერანტულობის ნიღბის ქვეშ უპირისპირდება კულტურულ, ეთნიკურ და რელიგიურ ტრადიციებს.

ნიშანდობლივია, რომ ზემოაღნიშნული საგანმანათლებლო-სოციალური ექსპერიმენტი განათლების სამინისტროში მხოლოდ მას შემდეგ იქნა ინიცირებული, რაც პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აკრძალვის შესახებ“, რომელშიც აისახა სექსუალური და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის აკრძალვა. ამას მალევე მოყვა საქართველოს სახალხო დამცველის მიერ ტრანსგენდერთათვის სქესის შეცვლის პროცედურების გამარტივების ინიციატივა. განათლების სამინისტროს აღნიშნული ინიციატივაც ამ კონტექსტშია განსახილველი, რადგან ის წარმოადგენს მოზარდ თაობებში უზნეობის ინსტალაციის მორიგ საფეხურს.

◆ ◆ ◆

განათლების სამინისტრომ ამ საგნის მიღების პროცესში დაარღვია საჯაროობის პრინციპები: საგნის შინაარსი უცნობია ფართო საზოგადოებისათვის, იგნორირებულია საქართველოს საპატრიარქოს პოზიცია, რაც უხეშად არღვევს კონკორდატის პრინციპებს, საკითხი არ განხილულა საქართველოს პარლამენტის არცერთ შესაბამის კომიტეტში (განათლება და მეცნიერება, ადამიანის უფლებები, იურიდიული). განხილვა შედგა მხოლოდ იმ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებიც სათანადო გრანტების საფასურად ლობირებენ მსგავს მაჯნებლურ პროექტებს.

აღნიშნული სახელმძღვანელოს დანერგვა გამოიწვევს მოზარდი თაობის ფსიქიკის შეუქცევად დეფორმაციას, ანუ ჩვენ მივიღებთ უსქესო, უეროვნებო, უოჯახო, უპრინციპო და ურწმუნო ახალ თაობას, რაც იდეალურად ჯდება ლიბერალური ინტერნაციონალის იდეოლოგიაში.

სახელმწიფო უნებლიედ გახდება მშობლებსა და შვილებს შორის ფასეულობათა შეუთავსებლობის ნიადაგზე წარმოშობილი დაუღლეველი კონფლიქტების ინსპირატორი. ეს კი გამოიწვევს ოჯახის, როგორც ერისა და სახელმწიფოს მთავარი ფუნდამენტის ნგრევას და საბოლოოდ მის პოლიტიკურ დესუვერენიზაციას.

მოვუწოდებთ საქართველოს მთავრობას, პირადად პრემიერ-მინისტრს ბ-ნ ირაკლი ღარიბაშვილს, არ დაუშვას ამ საგნის სკოლებში შემოტანა.

წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენს მიერ განხორციელდება ამ საგნის სკოლაში სწავლების წინააღმდეგ მიმართული მთელი რიგი ღონისძიებები, კერძოდ, საჯარო სკოლებში შეიქმნება მშობელთა საგანგებო კომიტეტები, რომლებიც ადგილებზე მოახდენენ საგნის სწავლების ბლოკირებას, რითაც უზრუნველყოფენ საკუთარი შვილების უფლებების დაცვას საქართველოს კონსტიტუციით და საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული პირობებით.

იმედს ვიტოვებთ, რომ საქართველოს მთავრობა სათანადოდ შეაფასებს ზემოაღნიშნულ საგანგაშო ვითარებას და გაატარებს ყველა აუცილებელ ღონისძიებას, რაც თავიდან აგვაცილებს ქვეყანაში ახალი დაძაბულობის კერების წარმოშობას.

ინტერპრესნიუსი

გახლომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

ალექსანდრე მაისურაძე: ნატო-ს დღის წესრიგში საქართველოს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია

– ნატო-ს გენერალური მდივნის, იენს სტოლტენბერგის ვიზიტი არის გზავნილი, რომ ნატო-ს დღის წესრიგში საქართველოს სერიოზული და მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, – ამის შესახებ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში საქართველოს წარმომადგენელმა ალექსანდრე მაისურაძემ ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში საქართველოში ნატო-ს გენერალური მდივნის, იენს სტოლტენბერგის ვიზიტის შეფასებისას განაცხადა.

ალექსანდრე მაისურაძე:

– ნატო-ს გენერალური მდივნის ვიზიტს ერთმნიშვნელოვნად დადებით შეფასებას მივცემდი. პირველ რიგში, ეს არის გზავნილი, რომ ნატო-ს დღის წესრიგში საქართველოს სერიოზული და მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მეორე – ეს არის გზავნილი, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი ერთმნიშვნელოვნად მხარს უჭერს საქართველოს სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას და ჩვენი ქვეყნის ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის შეუქცევადობას.

კითხვაზე – ეროვნულ სასწავლო ცენტრ „კრწანისის“ ტერიტორიაზე ნატო-საქართველოს ერთობლივი წვრთნისა და შეფასების ცენტრის გახსნა ჩრდილოეთიდან ნეგატიურად ფასდება და ხომ არ გამოიწვევს უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ რისკებს, მაისურაძემ

განაცხადა, რომ მისი პროგნოზით, აღნიშნული ცენტრის გახსნა მხოლოდ ხელს შეუწყობს როგორც საქართველოში, ისე რეგიონული მასშტაბით უსაფრთხოების გაუმჯობესებას.

– ცენტრი ხელს შეუწყობს საქართველოს შეიარაღებული ძალების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას. ეს არის კიდევ ერთი ნათელი დემონსტრირება იმისა, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალები მზად არიან, რათა საკუთარი გამოცდილება გაუზიარონ ალიანსის წევრი და პარტნიორი სახელმწიფოების წარმომადგენლებს, – განაცხადა მაისურაძემ.

ნატო-ს გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი საქართველოს დღეს ეწვევა.

ინტერპრესნიუსი

მხარდამჭერთა გამოძახილი თბილისის მერს, ბატონ დავით ნარმანიას

ბატონო დავით, თქვენი, როგორც თბილისის მერის და ღირსეული თბილისელების ოპონენტების მისამართით გაზეთ „ახალ თაობაში“ ა/წ 23 ივლისს გამოქვეყნდა ვრცელი წერილი, რომელსაც საკმაოდ დიდი გამოხმაურება მოჰყვა. მე, როგორც სტატიის ავტორს, მარტო ტელეფონით დამიკავშირდა 97 ადამიანი: ძირძველი თბილისელები, ყოფილი დეპუტატები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, სტუდენტები, პენსიონერები, ბიზნესმენები და რიგითები. ისინი ერთსულოვნად გიჭერენ მხარს და მიაჩნიათ, რომ თქვენ, თქვენი წარმომავლობით, განსწავლულობით, ინტელექტითა და ერუდიციით, მოთმინებითა და თავშეკავებით, თბილისელთა სატკივრის გულთან მიტანით, ზრუნვითა და სამართლიანი გადაწყვეტით, ნამდვილად შეეფერებით ჩვენი დედაქალაქის მერის თანამდებობას. მათ განსაკუთრებით მოსწონთ თქვენი გაწონასწორებული, კომპეტენტური და დინჯი დამოკიდებულება ყველა მოქალაქისადმი, მიუხედავად მათი შეხედულებების, აღმსარებლობისა და წარმომავლობის. გათვითცნობიერებული აქვთ, თუ რამდენად რთულია იმ ქალაქის თავკაცობა, რომელშიც 200 ეროვნების, 112 ათასი გვარის, 15 რელიგიური რწმენისა და 63 სექტის წარმომადგენლები ცხოვრობენ. თვალნათლივ აღიქვამენ ქვეყანაში და მის დედაქალაქში მიმდინარე მოვლენებს. კარგად ხედავენ თუ როგორი ტემპით მიმდინარეობს გლობალიზაციის პროცესები მსოფლიოში, მ.შ. საქართველოში. თბილისისადმი დიდია ინტერესი, როგორც დიდი ისტორიისა და კულტურის მქონე ქვეყნის დედაქალაქისა. გლობალურ პროცესებს თან ახლავს ერის ტრადიციული ადათ-წესების „განდევნა-დავიწყება“, ისტორიული წყაროების განადგურება, გაყიდვა, მართლმადიდებლური ქრისტიანული რწმენისადმი დაუნდობელი ბრძოლა! განსწავლული ადამიანები კარგად ხედავენ რელიგიური დაპირისპირების, ერთა შორის „საღვთო ომის“ საშიშროებასა და მის კატას ტროფულ ომში გადაზრდის მცდელობას. საამისოდ ექსტრემისტები არ ერიდებიან ტერაქტებს, მკვლელობებს, ეკონომიკურ დივერსიებს, ადამიანთა მოტაცებას, ტრეფიკინგს, შანტაჟს და ა.შ. ასეთ დროს, დემოკრატიული მართვის პირობებში, მერის თუნდაც ერთმა დაუფიქრებელმა განცხადებამ და გაუწონასწორებელმა ქმედებამ, შესაძლოა, საბედისწერო უარყოფითი შედეგი გამოიღოს.

ქვეყნის სიძლიერის სიმბოლურ ბერმუხას მუმლი მრავალგზის შეესია. ადგილობრივთან „შეჯვარებით“ მრავლად შეიქმნა ე.წ. „კეთილი“ და „მზრუნველი“ არასამთავრობო უწყებები, რომლებიც უცხოეთიდან სოლიდურად ფინანსდებიან! მათთვის წმინდა ნინოს ჯვარი, თომა მოციქულის უმთავრესი სიწმიდე, თამარ მეფის მირონცხებული გულსაკიდი, უფლისა და ღვთისმშობლის კვართები – მხოლოდ სამუზეუმო ექსპონატებია. დაკნინებულია ადამიანის სულიერება!

ტელეგადაცამების უმეტესობა, ერისათვის შეურაცხმყოფელი და უხამსია. და მაინც სადღეისოდ, მიღწეულია კონსესუსი. უფლის წყალობით აღარ იღვრება ძმათა სისხლი, აღარ კლავენ ახალგაზრდებს და ღირსებას აღარ ულახავენ მოქალაქეებს, აღარ აჩეხვინებენ ვენახებს და ა.შ.

მადლიერნი არიან უფლისა, რომ ქვეყანაში და მის დედაქალაქში მშვიდობაა, ჯერ კიდევ პატივს სცემენ ადამიანთა სულიერებას. კმაყოფილნი არიან თქვენი, რომ დინჯად დგახართ თბილისელებთან და გულთან მიგაქვთ მათი პრობლემები. მიუხედავად მწირი ბიუჯეტისა, მაინც ეხმარებით მატერიალურად. ხედავენ, როგორ ცდილობთ თბილისის იერსახის გაკეთილშობილებაზე, როგორ შექმენით კომპეტენტური კომისია, თბილისის განაშენიანებისა და განვითარების გენერალური გეგმის შესამუშავებლად, უხმაუროდ როგორ მიმდინარეობს ამორტიზირებული ბინების რეკონსტრუქცია-შეკეთება, საცხოვრებელი კორპუსების მოწესრიგება, შიდა სადარბაზო რემონტები, მოსახლეობა უზრუნველყოფილია უწყვეტი სასმელი წყლით, 24 საათიანი ელექტროენერგიით, სწრაფი ტემპით მიმდინარეობს თბილის-რუსთავის ავტობანის მშენებლობა და ა.შ.

ბატონო დავით, თქვენი ავტორიტეტი თბილისელთა თვალში ორმაგად გაიზარდა 13 ივნისის შემდეგ, როცა თქვენ ტრაგედიის ღამეს ჯერ დიდუბეში, შემდეგ კი ვაკეში სასოწარკვეთილი მოსახლეობის გვერდით დადექით. როგორ გაათენეთ მათთან ერთად ტანჯვითი ღამე და ებრძოდით სტიქიას. მადლიერნი არიან იმითაც, რომ თბილისში 11 აგვისტოს ევროპის უდიდესი სპორტული ღონისძიების უხიფათოდ ჩატარება უზრუნველყავით. ამ უამრავ მადლობასთან ერთად, გამოთქვამენ სურვილს, გაითვალისწინოთ მათი წინადადებებიც შეძლებისდაგვარად:

უზრუნველყოთ საინფორმაციო გაზეთ „თბილისის“ გამოცემა, რომლის ღირებულება იქნება 20-30 თეთრი. სურთ შეიტყონ ჭეშმარიტი ინფორმაცია თბილისური ცხოვრების შესახებ. მისი ისტორიის, ადათ-წესების, დღევანდელობისა და მომავალი გეგმების შესახებ. იცნობდნენ კანონებსა და ნორმატიულ აქტებს ბინათმშენებლობის, მიწების დაკანონების, მიშენება-დაშენების, ყიდვა-გაყიდვის შესახებ, მიიღონ იურიდიული კონსულტაციები და რეკომენდაციები; ამოქმედდეს ტელემაუწყებლობა „თბილისი“. სიბრძნით ნათქვამს და თვალით ნანახ ინფორმაციამოვლენას დიდი ძალა აქვს; მერიაში შეიქმნას რეფორმატორ-ეკონომისტთა ჯგუფი, თბილისელთა ეკონომიკური ცხოვრების გასაუმჯობესებლად; მხარს გიჭერენ და სთხოვენ თბილისის საკრებულოს, დაგიმტკიცონ მრჩეველთა ათკაციანი საბჭო; გამოყოთ ერთი მრჩეველი, რათა იგი შაბათს ან ორშაბათს შეხვდეს მთხოვნელებს, დააკვალიანოს და საჭიროების შემთხვევაში მათი თხოვნა თქვენამდე მოიტანოს; გთხოვენ, რათა აღარ გაძვირდეს წყალი, ელექტროენერგია და სხვა კომუნალური გადასახადები; იზრუნოთ თბილისის იერსახის თანამედროვე დონეზე გაკეთილშობილების კუთხით, მოაწესრიგოთ რკინიგზის სადგური, შიდასატრანსპორტო მოძრაობა და საქალაქთაშორისო მიმოსვლის სატრანსპორტო სფერო; სურთ შექმნათ თანამედროვე სტანდარტების ლაბორატორია სარეალიზაციო კვების პროდუქტების ვარგისიანობის დასადგენად; მერიამ ყოველწლიურად უზრუნველყოს: ასი მრავალშვილიანის, ასი პენსიონერის, ორასი ახლად შეუღლებულისა და სამასი გაჭირვებული ოჯახის ბინით დაკმაყოფილება. ყველა სამშენებლო ამხანაგობამ მერიას გადასცეს უსასყიდლოდ ბინათა რაოდენობის -10%; მერიამ შექმნას ერთ მილიარდიანი სარეზერვო ფულადი ფონდი და კვების პროდუქტების რეზერვი (ხორბალი, შაქარი, ბრინჯი, ხორცი, თევზეული, კონსერვები); კერძო საკუთრებაში არსებულ მიწებზე დანესდეს მოცდენის გადასახადი, ნორმატიული ფასის -3%; ყველა ბიზნესმენს მიეცეს საშუალება, დააწესოს თავისი სახელობის სტიპენდია თუ იგი სასწავლებლის ანგარიშზე წინასწარ შეიტანს 50 000 ლარს; ქალაქის დაუსახლებელი ტერიტორიები დაიყოს საცხოვრებელ და საზოგადოებრივი შემოქმედების ზონებად; შეიქმნას სპეციალური ფონდი, რათა ყველა ოჯახს მეოთხე და შემდგომ შვილზე მიეცეს 50-100 ლარი.

ბატონო დავით, წინადადებები ძალზე ბევრია და თუ იქნება თქვენი კეთილი ნება, დავამუშავებთ და წარმოგიდგენთ. ღირსეული თბილისელები გიჭერენ მხარს და გიცხადებენ ერთსულოვან თანადგომას. ასევე თანადგომას გიცხადებს საქართველოს ყველაზე მრავალრიცხოვანი გვარი ბერიძეები (სულ 28 700, მ.შ თბილისში 3 300 კაცი). მათ სურთ მომავალში გიხილონ წარმატებულ მერად.

97 თბილისელისა და გვარ ბერიძეთა სახელით,
ვაჟა ბერიძე — ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ბერიძეთა გვარის ეთნარქი,
რიგითი თბილისელი
ტელ: 599 33 53 60

ყაზახეთი აღნიშნავს კონსტიტუციის 20 წლისთავს

სუვერენული ყაზახეთის ისტორიაში იყო ხუთი კონსტიტუცია: 1926 წლის ყაზახეთის ასსრ-ს კონსტიტუცია, 1937, 1978 წლების ყაზახეთის სსრ-ს კონსტიტუცია, 1993, 1995 წლების ყაზახეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია. უკანასკნელ დოკუმენტში გამყარებულია საპრეზიდენტო მმართველობის ფორმა, რაც იმას ნიშნავს, რომ პრეზიდენტი დგას ხელისუფლების ყველა შტოს ზევით.

კონსტიტუციამ გაამყარა ქვეყნის ხალხის ერთიანობა, გააერთიანა 130-ზე მეტი ეროვნების, 18 კონფესიის წარმომადგენლები. მასში აქცენტი გაკეთებულია მოქალაქის სამართლებრივი სტატუსისა და საზოგადოებრივი წყობილების, ხოლო შემდეგ სახელმწიფოს და მისი ინსტიტუტების საფუძვლების განსაზღვრაზე. ამრიგად ხდება ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებისა და საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების პრიორიტეტის განმტკიცება. კონსტიტუცია განსაზღვრავს და უზრუნველყოფს პიროვნების ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს.

საგულისხმოა, რომ 1995 წლის ყაზახეთის კონსტიტუციის პროექტის განხილვაში მონაწილეობა მიიღო სამ მილიონზე მეტმა ყაზახეთის მცხოვრებმა. ჩატარდა დაახლოებით 33 ათასი პროექტის კოლექტიური განხილვა, რა დროსაც წამოყენებული იქნა თითქმის 30 ათასი წინადადება და შენიშვნა. 55 მუხლში შეტანილი იქნა 1100-ზე მეტი შესწორება და დამატება, რაც მეტყველებს მოქალაქეთა ცხოველ ინტერესზე მათი ძირითადი კანონის მიმართ.

როგორც სამართლიანად მიიჩნევს ყაზახეთის მრავალი საზოგადო მოღვაწე, ისტორიკოსი და სამართალმცოდნე, კონსტიტუციის 20 წლისთავი არის ქვეყნის შემოქმედებითი გზით სვლისა და მომავლის რწმენის 20 წელი. ეს არის მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა ქვეყნისათვის, რომელსაც აღიარებს და პატივსა სცემს მსოფლიო საზოგადოებრიობა.

კონსტიტუციაში განსაზღვრულია პოლიტიკური წყობილების – უნიტარული სახელმწიფოს საფუძვლები, სადაც სახელმწიფო ხელისუფლების ერთადერთი წყაროა ხალხი. როგორც კონსტიტუციის გარანტს, ქვეყნის პრეზიდენტს მინიჭებული აქვს საკონსტიტუციო არბიტრის უფლებამოსილება, რაც შესაძლებელს ხდის ხელისუფლების ყველა შტოს შეთანხმებული ფუნქციონირების, სახელმწიფო მართვის მოდერნიზაციისკენ მიმართული პოლიტიკური გეზის მემკვიდრეობითობის უზრუნველყოფას.

ქვეყნის მცხოვრებლების უმრავლესობა იზიარებს იმ აზრს, რომ ბოლო 20 წლის განმავლობაში დიდი რუდუნებით შეგროვილი და აღდგენილი იქნა დაკარგული ფასეულობები, რომ ეს იყო ერთი ქვეყნისთვის ქვეყნის – ერთი დიდი ოჯახის შიგნით ერთნიკური და რელიგიური ნიშნით შუღლის დაუშვებლობის გზაზე სვლის 20 გრძელი წელი.

ნ. ნაზარბაევის სიტყვები გვაუწყებს შემდეგს: „...კონსტიტუცია იქცა ჩვენი თავისუფლების საფუძვლად. იგი განამტკიცებს ჩვენი გამარჯვებების, მიღწევების მთელ კომპლექსს, რომლებიც ჩვენ მოგვიტანა დამოუკიდებლობამ“.

დღეს აბსოლუტურად ყველა ყაზახეთის მცხოვრები ამაყობს თავისი სამშობლოთი და ერის ლიდერით – ნურსულთან ნაზარბაევით. სულ ახლახანს ყაზახეთის ხალხმა თავის ლიდერთან ერთად გაიხედა მომავლისკენ, წამოაყენა რა იდეა „Мангилик Ел“ („მარადიული ქვეყანა“). დღეს, ქვეყნის ძირითადი კანონის მიღების 20 წლისთავის აღნიშვნის ფარგლებში მიმდინარეობს ყველაზე აქტიური მუშაობა სამეცნიერო, საზოგადოებრივი მნიშვნელობის, მედიის პროექტების რეალიზაციის სფეროში. ყველა ღონისძიების არსი მდგომარეობს იმაში, რომ ყოველმა ყაზახეთის მცხოვრებმა საკუთარ თავზე შეიგრძნოს საკონსტიტუციო ფუძემდებლური პრინციპების რეალიზაციის, სახელმწიფოს ზრუნვის შედეგები, და პირადი პასუხისმგებლობა იგრძნოს ქვეყნის განვითარებაზე, საზოგადოებრივი თანხმობის განმტკიცებაზე, ახალი ყაზახური პატრიოტიზმის ფორმირებაზე.

მრავალი ადამიანი სამართლიანად აღნიშნავს, რომ კონსტიტუცია არის სამართლებრივი სახელმწიფოს სიმბოლო, ფუძემდებლური დოკუმენტი, რომლის გარშემო შენდება ქვეყნის ცხოვრება. ყველა ყაზახეთის მცხოვრები კონსტიტუციის 20 წლისთავს მტკიცედ უკავშირებს თავისი სამშობლოს დამოუკიდებლობას.

კონსტიტუციის მიღების 20 წლისთავის თარიღს მრავალი ყაზახეთის მცხოვრები მიიჩნევს ახალი სახელმწიფოებრიობის განვითარების, ეროვნული ერთობის, სტაბილურობისა და ხვალინდელი დღის რწმენის სიმბოლოდ. სპეციალურად ამ თარიღისთვის ყაზახეთის პრეზიდენტის ბრძანებულებით გამოუშვეს საიუბილეო მედალი „Казакстан Конституциясына 20 жыл“ („ყაზახეთის კონსტიტუციის 20 წელი“).

თუ სულ რაღაც 20 წლის წინ ქვეყნის მრავალი მცხოვრები თავის თავს ვერც წარმოიდგენდა ძველი საბჭოური სისტემის გარეშე და დაბნეული იყო, დღეს მათი თითქმის 90 პროცენტი მტკიცედ არის დარწმუნებული, რომ მათთვის ყაზახეთის რესპუბლიკის მოქალაქეობა მთავარ მაიდენტიფიცირებელ კრიტერიუმად არის წარმოჩენილი.

სწორედ 1995 წლის კონსტიტუციამ შეიტანა რიგი ინოვაცია ყაზახეთის პოლიტიკური სისტემის მოდერნიზაციის კუთხით. მას საფუძვლად უდევს საზოგადოებრივი თანხმობისა და ეთნოსთაშორისი ტოლერანტობის ყაზახეთის მოდელის მტკიცე, საერთაშორისო სტანდარტების შესაფერისი სამართლებრივი ფუნდამენტი, სამართლიანად წოდებული Елбасы (სახელმწიფოს მეთაურის) მოდელად.

რაც ყველაზე მთავარია, მოქმედ კონსტიტუციას საფუძვლად უდევს საზოგადოებაში თანხმობის იდეა. კონსტიტუცია წარმოადგენს ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებზე დამყარებულ ხელშეკრულებას ადამიანს, საზოგადოებას და სახელმწიფოს შორის.

კონსტიტუციის მიღების დღე ნამდვილად შეიძლება ჩაითვალოს განსაკუთრებულ თარიღად ნებისმიერი ხალხისა და სახელმწიფოს ცხოვრებაში, ვინაიდან იგი განამტკიცებს შემობრუნების ისტორიულ მოვლენებს. მის საფუძველზე ყაზახეთმა შეძლო გაევლო ურთულესი, რევოლუციური ტრანსფორმაციის ტოლფასი ეტაპი, გაევლო ისე, რომ არ გახვეულიყო გაუთავებელი კონფლიქტების ქაოსში, არ დაეკარგა სახელმწიფოებრიობა, ისე, რომ შეენარჩუნებინა ხალხი და ჩაესახა მასში მომავლის რწმენა.

კონსტიტუციამ გამოიყენა კაცობრიობის ისტორიული და თანამედროვე გამოცდილება. ქვეყანაში მისაღები ნებისმიერი კანონი და სხვა ნორმატიული აქტი არავითარ შემთხვევაში არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კონსტიტუციას. საკონსტიტუციო დებულებების მნიშვნელობაზე მოწმობს ის, რომ მათ დასაცავად შეიქმნა სასამართლო ხელისუფლების სპეციალური სახელმწიფო ორგანო – ყაზახეთის რესპუბლიკის საკონსტიტუციო საბჭო.

კონსტიტუციის მნიშვნელობა განისაზღვრება არამარტო მისი შინაარსით, არამედ, რაც უფრო მნიშვნელოვანია, აგრეთვე პრაქტიკული რეალიზაციით, რაც მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ხალხისა და ხელისუფლების პოლიტიკურ-სამართლებრივი კულტურის დონეზე. იმისათვის, რომ კანონმა ნამდვილად იმუშაოს, რომ იგი დაიცვან, უნდა მივაღწიოთ სამართალდამცავი, სასამართლო და ყველა სხვა სახელისუფლებო შტოს უპირობო მოქმედებას, თუმცა კანონიერების დასაცავად საჭიროა ასევე საკუთარი ძალისხმევა.

ეს ამოცანა დღესაც არის აქტუალური, რადგან კონსტიტუციის ცოდნა, აღიარება და დაცვა – სამართლებრივი სახელმწიფოს წარმატებული ფორმირების, ქვეყნის დემოკრატიული განვითარების უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. ამ პროცესების შეუქცევადობის უზრუნველყოფის მიზნით ყველა ყაზახეთის მცხოვრებმა უნდა ისწავლოს ცხოვრება კონსტიტუციის მიხედვით, კანონის სიტყვასიტყვით დაცვა.

ზაზა მეზვრიშვილი

ლევან კალანდაძე: „ლარზე მოთხოვნა უნდა გავზარდოთ“

საგარეო ფაქტორების შოკის პიკი, რომელიც ლარის გაუფასურებაზე ახდენს გავლენას, მალე გადაივლის.

ამის შესახებ ეროვნული ვალუტის გაუფასურების ტენდენციაზე კომენტირებისას „ინტერპრესნიუსს“ ეკონომიკურმა ექსპერტმა ლევან კალანდაძემ განუცხადა.

მისივე განმარტებით, ე.წ. პიკური შოკები, ზოგადად, მოკლევადიანი პერიოდით ხასიათდება.

– ლარის კურსს აყალიბებს მოთხოვნა-მიწოდება ლარზე. ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენები მნიშვნელოვანწილად იყო განპირობებული საერთაშორისო ბაზრებზე არსებული აჟიოტაჟით, ანუ არსებობდა ნავთობის ფასის ნახტომისებური შემცირების მოლოდინი, – განაცხადა ექსპერტმა.

იყო ბირჟებზე საფონდო ინდექსების შემცირების მოლოდინიც, რის გამოც ჩვენს მთავარ სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში – რუსეთში, უკრაინაში, თურქეთსა და აზერბაიჯანში ადგილობრივი ეროვნული ვალუტების კურსი დაეცემოდა, რაც მოხდა კიდეც.

– ამ მოლოდინებმა გამოიწვია ქცევის წესის და კულტურის შეცვლა: ბიზნესმაც და საზოგადოებამაც დაიწყო დოლარზე მოთხოვნის ზრდა, ამან კი შეამცირა ლარზე მოთხოვნა, მაგრამ ე.წ. პიკური შოკები მოკლევადიანი პერიოდით ხასიათდება და საგარეო ფაქტორის შოკის პიკი მალე გადაივლის. მეორე საკითხია, საგარეო რისკ ფაქტორების მოხსნის შემდეგ რას გავაკეთებთ ჩვენ, – დასძინა ლევან კალანდაძემ.

◆ ◆ ◆

ეკონომიკური ექსპერტის აზრით, საგარეო შოკების გავლის შემდეგ საჭიროა ორ მნიშვნელოვან საკითხზე – მოკლევადიან პერიოდსა და გრძელვადიან პერიოდზე გათვლილ ღონისძიებებზე მუშაობა.

– მოკლევადიან პერიოდში უნდა გავატაროთ ისეთი პოლიტიკა, რომლითაც ხელს შევუწყობთ ლარზე მოთხოვნის ზრდას და არა დოლარზე მოთხოვნის ზრდას, – განაცხადა ექსპერტმა.

ეს გამოიხატება ეროვნული ბანკის რეფინანსირების პოლიტიკის კორექტირებაში. როცა ეროვნული ბანკი კომერციულ ბანკებს აძლევს რეფინანსირების სესხს, ამით ამცირებს ლარზე მოთხოვნას. თუ ეროვნული ბანკი შეამცირებს

რეფინანსირების სესხებს, ამით ხელს შეუწყობს ლარზე მოთხოვნის ზრდას.

სექტემბერში, ოქტომბერში, ნოემბერსა და დეკემბერში პარალელური ღონისძიებებია გასატარებელი.

– პირველი საკითხი უკავშირდება ბიუჯეტის თანმიმდევრულ ხარჯვის პოლიტიკას, ანუ ის დამატებითი რისკ ფაქტორი არ უნდა გახდეს ბიუჯეტისთვის. ჯერჯერობით ეს პროცესი ნორმალურად მიმდინარეობს, საგადასახადო შემოსავლების კუთხით პრობლემები ამ ეტაპზე არ არის, ისევე, როგორც ხარჯვითი პოლიტიკა თანმიმდევრულად ხორციელდება და ლარის მასის სახით სახაზინო ანგარიშებზე გარკვეული ნათშიც იძლევა იმის იმედს, რომ შესაძლებელია ბიუჯეტი, როგორც რისკ ფაქტორი ლართან მიმართებაში, გამოირიცხოს, – განაცხადა ლევან კალანდაძემ.

მეორე საკითხი პრივატიზაციას ეხება. პრივატიზაციის ის გეგმა, რომელიც გაზაფხულზე დაანონსდა, ჯერჯერობით ვერ სრულდება.

მესამეა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები.

– ამ მიმართულებითაც უმჯობესი იყო, ხელისუფლებას აქცენტები გაეძლიერებინა და მუშაობა გაეაქტიურებინა – ტურისტული სეზონის დამთავრების შემდეგ სექტემბრიდან შესაძლებელია სავალუტო ნაკადები შემცირდეს. ამიტომ ეს რაღაცით უნდა იყოს ჩანაცვლებული და ეს ჩამანაცვლებელი კომპონენტი არის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, – ასეთია ექსპერტის აზრი.

იაკობაშვილის კომპანიებმა ბიუჯეტში 400 მილიონი შეიტანეს

ბიზნესმენ დავით იაკობაშვილის სამართლებრივი წარმომადგენელი, ქეთი ქვარცხავა, ბოლო დროს მედიაში გავრცელებულ ინფორმაციას ეხმაურება, რომელიც დავით იაკობაშვილის ჯგუფში შემავალი კომპანიების წინააღმდეგ დაწყებულ საგამოძიებო მოქმედებებს უკავშირდება.

ბიზნესმენის წარმომადგენელი მთავრობას მიმართავს

იაკობაშვილის სამართლებრივმა წარმომადგენელმა ქეთი ქვარცხავამ „ინტერპრესნიუსის“ პრესკლუბში ჟურნალისტებისთვის განცხადება გააკეთა.

ქვარცხავა მთავრობას და გადაწყვეტილების მიმღებ პირებს მიმართავს და აცხადებს, რომ დავით იაკობაშვილის ბიზნეს ჯგუფი კვლავაც გააგრძელებს საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობას და იმედს იტოვებს, რომ დაწყებული პროცესი წარიმართება და დასრულდება მაქსიმალურად ოპერატიულად და გამჭვირვალედ,

– დავით იაკობაშვილი არის საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ინვესტორი, გადამხდელი და დამსაქმებელი. იაკობაშვილის ბიზნეს ბიოგრაფიასთანაა დაკავშირებული არაერთი გამჭვირვალე, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი წარმატებული ბიზნეს პროექტები და კომპანიები, რომელთა მთავარი პრინციპებია ღია და პატიოსანი ბიზნესის წარმოება.

ბოლო ორი წლის მანძილზე ჯგუფის წინააღმდეგ პერმანენტულად ხორციელდება საგამოძიებო მოქმედებები და დაუსრულებელი საგადასახადო შემოწმებები. პროცესი უმეტეს შემთხვევაში მიმდინარეობს პროცედურული და სამართლებრივი გადაცდენებით, რაც სამწუხაროდ, ნეგატიურად აისახება როგორც ჯგუფის საინვესტიციო გეგმებზე, ასევე ქვეყნის ზოგად საინვესტიციო გარემოზე, – განაცხადა ქეთი ქვარცხავამ.

იურისტი მთავრობას და გადაწყვეტილების მიმღებ პირებს მიმართავს და აცხადებს, რომ დავით იაკობაშვილის ბიზნეს ჯგუფი კვლავაც გააგრძელებს საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობას და იმედს იტოვებს, რომ დაწყებული პროცესი წარიმართება და დასრულდება მაქსიმალურად ოპერატიულად და გამჭვირვალედ, რაც პირდაპირ აისახება ქვეყნის დეკლარირებულ ინტერესებზე.

ქეთი ქვარცხავა იმედოვნებს, რომ ქვეყანაში კვლავ შენარჩუნდება ჯანსაღი ბიზნეს გარემო, რაც გადასახადების და ინვესტიციების ზრდასთან არის უშუალო კავშირში. შექმნილი ვითარება ასევე პირდაპირ ზეგავლენას ახდენს, ქვეყნის წინაშე შექმნილ რთულ ეკონომიკურ გარემოზე და რისკის ქვეშ აყენებს არსებულ ინვესტიციებსა და უკვე შექმნილ სამუშაო ადგილებს.

– ინვესტორ, დავით იაკობაშვილის მიერ 2012 წლიდან საქართველოში განხორციელებულია 250 მილიონი დოლარის ინვესტიცია და მის ჯგუფში დასაქმებულია საქართველოს 3.100 მოქალაქე. ამ პერიოდის განმავლობაში ჯგუფის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში მობილიზებულია 400 მილიონ ლარზე მეტი, მხოლოდ 2014 წელს ამ ციფრმა 142 მილიონ ლარს გადააჭარბა, – განაცხადა ბიზნესმენ დავით იაკობაშვილის სამართლებრივმა წარმომადგენელმა ქეთი ქვარცხავამ.

იაკობაშვილის წარმომადგენელს ჟურნალისტებთან არ დაუკონკრეტებია, თუ რომელ კომპანიებზეა საუბარი.

10.000 სტუდენტი სახელმწიფო ფინანსებით ისწავლის

წელს უმაღლეს სასწავლებლებში 28.053 სტუდენტი ისწავლის, მათ შორის, 10 ათასამდე სახელმწიფოს ფინანსებით.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა გუშინ, 26 აგვისტოს, საკუთარ ვებ-გვერდზე ეროვნული გამოცდების შედეგები გამოაქვეყნა.

ცენტრის ხელმძღვანელმა მაია მიმინოშვილმა გამოცდების შედეგები გუშინ ბრიფინგზე შეაჯამა.

მაია მიმინოშვილის თქმით, წელს 40 ათასი აბიტურიენტი იყო, თუმცა პირველად ეტაპზე ამ რაოდენობას გამოაკლდნენ ის მე-12 კლასელები, რომლებმაც ატესტატი ვერ აიღეს. საბოლოო ჯამში, გამოცდებში მონაწილეობას იღებდა 29 ათასამდე აბიტურიენტი. მათგან სტუდენტი გახდა 28.053 აბიტურიენტი.

აღნიშნული კონტინგენტიდან 6.555-მა სხვადასხვა პროცენტიანი სახელმწიფო დაფინანსება მოიპოვა.

გაზრდილია ასევე იმ სტუდენტების რიცხვი, რომლებიც ჩაირიცხნენ იმ ფაკულტეტებზე, რომელთაც სახელმწიფო აფინანსებს. ასეთი არის 3.742 სტუდენტი. სულ საბოლოო ჯამში, წელს სახელმწიფო ფინანსებით 10 ათასამდე აბიტურიენტი ისწავლის.

მაია მიმინოშვილმა ასევე დაასახელა ვაკანტური ადგილების რაოდენობა. წელს 44 ათასი ვაკანტური ადგილი იყო, იმაზე მეტი, ვიდრე აბიტურიენტთა რიცხვი. შესაბამისად, ვაკანტური დარჩა 18 ათასი ადგილი.

მაია მიმინოშვილის განცხადებით, ყველაზე მეტად ადგილები შეივსო ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში, იმის მიუხედავად, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტს საკუთარი მაღალი ბარიერი აქვს გამოცდებზე დაწესებული, ვიდრე გამოცდების ეროვნული ცენტრის კომპეტენციის მინიმალური ზღვარია.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 3.881 ადგილი იყო, მათგან ვაკანტური დარჩა 225.

აგრარულ უნივერსიტეტში 420 ადგილი იყო და მათგან არც ერთი ვაკანტური აღარ დარჩა.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2.667 ადგილიდან ვაკანტური დარჩა 208 ადგილი.

თავისუფალ უნივერსიტეტში 453 ადგილიდან 2 დარჩა ვაკანტური.

მიმინოშვილმა დასძინა, რომ ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი წელს ბევრი გახდა, თუმცა მათ ბევრი ადგილიც აქვთ ვაკანტური.

სულ წელს ეროვნულ გამოცდებზე ვაკანტური ადგილები დაახლოებით 64 უმაღლეს სასწავლებელს ჰქონდა წარდგენილი.

ამასთან, სამაგისტრო გამოცდების საბოლოო შედეგები უკვე დასრულდა და, სავარაუდოდ, დღეს გამოცხადდება.

მთავრდება ასევე მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდის სააპელაციო ნაშრომების გასწორება.

რუსეთიდან საქართველოში ფულადი გადმორიცხვები 41%-ით შემცირდა

2015 წლის იანვარ-ივლისში რუსეთიდან საქართველოში ფიზიკური პირების მიერ ფულადი გადმორიცხვები წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 41%-ით – 172,1 მილიონი დოლარით – 247,7 მილიონ დოლარამდე შემცირდა.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, ეს თანხა საზღვარგარეთის ქვეყნებიდან საქართველოში განხორციელებული ფულადი გადმორიცხვების 39,2%-ს შეადგენს.

მხოლოდ ივლისის თვეში რუსეთიდან ფულადმა გზავნილებმა 43.2 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, 2014 წლის ივლისში კი მოცულობა 72.6 მლნ დოლარს შეადგენდა.

უცხოეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილების მხრივ მეორე ადგილზე იტალიაა 8,7 მილიონი დოლარით, მესამეზე კი აშშ –8,5 მილიონი დოლარი.

ბიპიენი

ლარი გამყარდა

1 დოლარის ოფიციალური ღირებულება 2.3771 ლარი გახდა.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი დაადგინა, რომლის მიხედვით, ეროვნული ვალუტის კურსი დოლართან მიმართებაში რამდენიმე პუნქტით გამყარდა.



დღეიდან 1 დოლარის შეძენა 2.3771 ლარად იქნება შესაძლებელი. ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსი, რომელიც გუშინ მოქმედებდა, 2.4161 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ 0.0390 ლარი შეადგინა.

ეროვნული ვალუტა ევროსთან მიმართებაშიც გამყარდა. კერძოდ, დღეიდან 1 ევროს შეძენა 2.7173 ლარად იქნება შესაძლებელი, მაშინ როცა გუშინ მოქმედი კურსი 2.7701 ლარს შეადგენდა. ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ ევროსთან მიმართებაში 0.0528 ლარი შეადგინა.

ცესკომ მარტში 8.377.28 ლარის სარესტორნე და კვებითი მომსახურება შეისყიდა

ცენტრალური საარჩევნო კომისია სარესტორნე და კვებით მომსახურებაზე თანხას ყოველთვიურად ხარჯავს.

უწყების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, იანვრიდან, აპრილის ჩათვლით, ამ მიზნით ჯამში 9.612.22 ლარია დახარჯული. აქედან 8.377.28 ლარი – მარტში.

რაც შეეხება დანარჩენ თვეებს, იანვარში, თებერვალსა და აპრილში ცესკომ სულ 1.234.94 ლარის სარესტორნე და კვებითი მომსახურება შეისყიდა. ეს ხარჯი ამ თვეების მიხედვით შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

იანვარი – 412.29 ლარი;
თებერვალი – 369.45 ლარი;
აპრილი – 453.2 ლარი.

შეგახსენებთ, რომ კანონმდებლობით, ცესკოს სახსრებს მისი თავმჯდომარე განკარგავს.

ნიუსპრესი

სკანდალი: ხაბაძის თანაშემწის ფოტოს გენინსპექცია სნავლობს

აჭარის მთავრობის თავმჯდომარის, არჩილ ხაბაძის თანაშემწის დათო ჭელიძის ფეისბუქ გვერდზე გამოქვეყნებულ 6 ფოტოსურათთან დაკავშირებით, გენინსპექციამ მოკვლევა დაიწყო.

ფოტოზე სამოქალაქო პირებთან ერთად პოლიციის ფორმაში ჩაცმული ადამიანები იმყოფებიან, რომლებიც ალკოჰოლს იღებენ. ფოტოზე ასევე ჩანს, რომ პოლიციელს აქვს ცეცხლსასროლი იარაღიც.

შსს პრესცენტრის ცნობით, მედიით გავრცელებულ ფოტოებთან დაკავშირებით, რომელზეც იკვეთება შს სამინისტროს ეთიკის კოდექსის დარღვევის მომენტები, ანუ ეთიკის კოდექსის თანახმად, პოლიციელს ეკრძალება უნიფორმაში ყოფნისას ალკოჰოლური სასმელის მოხმარება ადგილზე ყოფნა, შს სამინისტროს გენინსპექციამ სამსახურებრივი შემოწმება დაიწყო.

აი, რას ამბობს თავად **დათო ჭელიძე:**

– კვირას, არასამუშაო დღეს, ვიმყოფებოდი ბახმაროში დასასვენებლად ოჯახთან ერთად, ჩემი მეგობრები, რომლებიც პოლიციაში მუშაობენ, არასამუშაო საათებში ვახშამზე დავპატიჟე ჩემთან სახლში, სადაც სამახსოვრო სურათები გადავიღეთ. რადგან ფეისბუქ გვერდი უცხო პირებისთვის დახურული მეგონა, ერთმანეთისთვის გასაზიარებლად დავდე ეს ფოტოები. არც ერთ ჩემს სტუმარს და არც მე ამით კანონი არ დაგვირღვევია. ღამის 12 საათი იყო, ზუსტად ნახევარი საათი შეყოვნდნენ და უკან ბათუმში დაბრუნდნენ.

ნიუპოსტი

პეკინზე ქალი ტუჩში დაჭრეს

გუშინ საღამოს თბილისში, პეკინის გამზირზე ინციდენტი მოხდა. ორმა ახალგაზრდა მამაკაცმა ახალგაზრდა ქალს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.

როგორც „ნიუპოსტის“ კორესპონდენტს ადგილზე თვითმხილველებმა განუცხადეს, ახალგაზრდები სავარაუდოდ ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, მათ ახალგაზრდა გოგონას დანით ტუჩის არეში მსუბუქი ჭრილობა მიაყენეს, მათი გაშველება იქვე მდგარმა ტაქსის მძღოლმა და მოქალაქეებმა სცადეს.

მომხდარის გამო ცოტა ხნით პეკინის გამზირზე მოძრაობაც შეფერხებული იყო.

ადგილზე იმყოფებოდა საპატრულო პოლიცია.

ნიუპოსტი

ბათუმში ზღვის დაბინძურების ფაქტი გამოავლინეს

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შავი ზღვის დაცვის კონვენციური სამმართველოსა და სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებმა, კუკის კუნძულების დროშის ქვეშ მცურავი გემის – BERKAY N მიერ, ნავთობპროდუქტებით ზღვის დაბინძურების ფაქტი გამოავლინეს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ გემის კაპიტანს – თურქეთის მოქალაქეს, 65 ათასი ლარის ოდენობით, ჯარიმა დაეკისრა.

მიმდინარეობს გარემოსთვის მიყენებული ზიანის დადგენა.

გემი საქართველოს ტერიტორიულ წყლებს ჯარიმის სრულად გადახდის შემდეგ დატოვებს.

ნიუსპრესი

ზურაბ ჭიაბერაშვილი: „საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ნოემბერ-დეკემბრის ბიუჯეტი ცარიელია“

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრის, ზურაბ ჭიაბერაშვილის განცხადებით, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის დეფიციტი უკვე 84 მლნ ლარია და საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ნოემბერ-დეკემბრის ბიუჯეტი ცარიელია. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ აცნობეს.

ზურაბ ჭიაბერაშვილი:

– დავით სერგეენკომ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ნოემბერ-დეკემბრის ბიუჯეტი უკვე გახარჯა და რადიკალური ცვლილებების გარეშე პროგრამა ჩავარდნის სერიოზული საფრთხის წინაშე დგას.

ეს ნიშნავს, რომ ათიათასობით პენსიონერის, ბავშვის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის, სოციალურად დაუცველის მკურნალობის ხარჯები თავად ოჯახებს დააწვება. ლარის გაუფასურებისა და ფასების ზრდის ფონზე, ეს მდგომარეობა უამრავ ადამიანს კატასტროფის წინაშე აყენებს. ამოიწურა პროგრამის „რეფერალური მომსახურება“ (კოდი 35 03 03 09) წლიური ბიუჯეტიც. ამ პროგრამას სამინისტრო მოქალაქეთა პირდაპირი მიმართვის საფუძველზე განკარგავს. გაძვირებული მედიკამენტისა და მკურნალობის ხარჯის დაფარვა იმდენად ბევრ ადამიანს უჭირს, რომ სამინისტრომ 15 მლნ ლარიანი მლნ ლარი თითქმის უკვე დახარჯა და ბიუჯეტის ეს მუხლიც გასაზრდელი აქვს.

ეს არ ნიშნავს, რომ თუნდაც დეფიციტური ხარჯვით ჯანდაცვის სამინისტრომ კლინიკების დავალიანება სრულად დაფარა. არა, დავალიანება რჩება და ეს მედპერსონალის ხელფასების გაუცემლობაში, სამედიცინო მომსახურების ხარისხის დაქვეითებასა და პაციენტების მიერ ჯიბიდან გადახდების ზრდაში აისახება“, -განაცხადა ზურაბ ჭიაბერაშვილმა.

მისივე თქმით, მინისტრმა სერგეენკომ დეტალური ინფორმაცია უნდა მიაწოდოს საზოგადოებას საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის შესახებ და აუხსნას საზოგადოებას, როგორ აპირებს ნოემბერ-დეკემბერში ათიათასობით მოქალაქის მკურნალობის ხარჯის საავადმყოფოებისთვის ანაზღაურებას.

ინტერპრესნიუსი

ჩიორა თაქთაქიშვილისთვის ბიუჯეტიდან 21.139 ლარი დაიხარჯა

პარლამენტის წევრ ჩიორა თაქთაქიშვილის საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა ბიუჯეტს, წლის განმავლობაში, 10.005 ლარი უჯდება.

ოფიციალური ინფორმაციით, 2014 წელს ამ მიზნით, თაქთაქიშვილმა ბიუჯეტიდან სწორედ აღნიშნული რაოდენობის თანხა მიიღო. კერძოდ, საცხოვრებელი პირობების უზრუნველსაყოფად, თაქთაქიშვილი ყოველ თვე, დანამატის სახით, 833.75 ლარს იღებდა.

უწყებამ დეპუტატის საცხოვრებელი პირობების უზრუნველსაყოფად, 2013 წელსაც იდენტური რაოდენობის ხარჯი გასწია.

რაც შეეხება, 2012 წლის დეკემბერსა და ნოემბერს, ამ ორი თვის განმავლობაში, თაქთაქიშვილს დანამატის სახით, 1.667.5 ლარი გამოეყო. აქედან 1.129.60 ლარი – ნოემბერში, ხოლო 537.9 ლარი – დეკემბერში.

ჯამში, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებიდან 2014 წლის დეკემბრის ჩათვლით, სახელმწიფომ თაქთაქიშვილის საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფაზე 21.139.6 ლარი დახარჯა.

ნიუსპრესი

გოგი თოფაძეს ქუთაისში საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფისთვის თვეში 833 ლარი ერიცხება

საქართველოს პარლამენტის წევრ გიორგი (გოგი) თოფაძის საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფისთვის, წლის განმავლობაში 10 005 ლარი იხარჯება. კერძოდ, ოფიციალური მონაცემების მიხედვით, პარლამენტარს აღნიშნული მიზნით, ყოველთვიურად 833.75 ლარი ერიცხება.

პარლამენტის აპარატის ინფორმაციით, გიორგი თოფაძის საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფაზე 2013 და 2014 წელს იდენტური ოდენობის თანხა დაიხარჯა. რაც შეეხება 2012 წელს, ნოემბერსა და დეკემბერში პარლამენტარს 1.963.35 ლარი ჩაერიცხა. აქედან 1.129.60 ნოემბერში. ამ ორი თვის განმავლობაში თოფაძემ პრემიაც აიღო – ჯამში 5.992 ლარის ოდენობით.

შეგახსენებთ, რომ გიორგი თოფაძე 2012 წლიდან პარლამენტში საარჩევნო ბლოკის „ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნება“ პარტიული სიით შესული დეპუტატი და ფრაქცია „ქართული ოცნება – მრეწველების“ თავმჯდომარეა.

ნიუსპრესი

შსს-მ ფონიჭალაში ნარკორეალიზატორი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული სამძებრო-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1980 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი რამინ ა. ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის და გასაღების ბრალდებით სოფელ ფონიჭალაში დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებული ნარკოტიკულ საშუალებას სისტემატურად ყიდდა. ასევე დადგინდა, რომ რამინ ა.-მ დაკავებამდე რამდენიმე დღით ადრე 1 შეკვრად დაფასებული ნარკოტიკული საშუალება გაყიდა, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით 0,0031 გრ ჰეროინს შეიცავს.

დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის და გასაღების ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს.

ნიუსპრესი

შსს-ს მაშველ-მეხანძრეები ბათუმსა და ფოთში სამაშველო სამუშაოებს მთელი ღამის განმავლობაში ახორციელებდნენ

შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს, აჭარის მთავარი სამმართველოს და საპატრულო პოლიციის თანამშრომლები ქალაქ ბათუმში, ძლიერი წვიმის შედეგად დატბორილ სახლებსა და ქუჩებში სამაშველო, გაწმენდით და ამოტუმბვით სამუშაოებს მთელი ღამის განმავლობაში ახორციელებდნენ.

შინაგან საქმეთა მინისტრ გიორგი მღებრიშვილის დავალებით, ბათუმში დამატებით მობილიზებულ იქნა სამაშველო ჯგუფები თბილისიდან, ზუგდიდიდან და ქუთაისიდან.

ძლიერმა წვიმამ ფოთშიც დატბორა სახლები და ქუჩები. წყლის ამოტუმბვითი სამუშაოები სპეციალური წყალსაქაჩი ტექნიკით მიმდინარეობდა. სამაშველო ღონისძიებებში ჩართული იყო საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს 205 მაშველ-მეხანძრე.

ფოთსა და ბათუმში სამაშველო, გაწმენდითი და ამოტუმბვითი სამუშაოები გრძელდება.

პოლიციამ უცხო ქვეყნის მოქალაქეებისგან 5 კილომდე კოკაინი და 15 კილომდე მარიხუანა ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ნარკოტრანზიტების წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების და შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად სამი პირი: ბრაზილიის ფედერაციის ორი მოქალაქე – 1985 წელს დაბადებული ელიზაბედ ლუიზა დოს ს., 1980 წელს დაბადებული კარინა ე. და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ერთი მოქალაქე, 1985 წელს დაბადებული ოდეთთე ვ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების საქართველოში უკანონოდ შემოტანის ბრალდებით დააკავეს.

სამართალდამცველებმა ელიზაბედ ლუიზა დ., კარინა ე. და ოდეთთე ვ. თბილისის

საერთაშორისო აეროპორტში იმ დროს დააკავეს, როდესაც მათ საქართველოში განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება შემოჰქონდათ.

პოლიციამ ელიზაბედ ლუიზა დ.-ს და კარინა ე.-ს პირადი ჩხრეკისას 10 შეკვრად დაფასებული ნარკოტიკული საშუალება ამოიღო, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით, 4 კილო და 794,68 გრ კოკაინია, ხოლო ოდეთთე ვ.-ს ხელბარგის ჩხრეკისას ამოღებულია 14 კილო და 835 გრამი მარიხუანა.

სამივე დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების საქართველოში უკანონოდ შემოტანის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 262-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

ნიუსპრესი

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, ნონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბაგონი ქუთათო

იაშინი ისევ დააკავეს

ცნობილი რუსი ოპოზიციონერი ილია იაშინი ისევ დააკავეს. პოლიციამ ის კოსტრომის ოლქში ამომრჩევლებთან შეხვედრისას დააპატიმრა. დაკავების მოტივი ჯერჯერობით უცნობია.

„ტვიტერში" მისი პოსტის თანახმად, კოსტრომაში ამომრჩევლებთან შეხვედრისას პოლიციის თანამშრომლებმა ხელები გადაუგრიხეს, მანქანაში ჩატენეს და პოლიციის განყოფილებაში წაიყვანეს.

ადგილობრივი პოლიციის წარმომადგენლის განცხადებით, ილია იაშინს დაუმორჩილებლობაში ედება ბრალი და 15 დღიანი პატიმრობა ემუქრება.

კიევი მსოფლიო ბანკისგან 500 მილიონს მიიღებს

მსოფლიო ბანკი უკრაინას 500 მილიონ დოლარს გამოუყოფს. შესაბამისი გადაწყვეტილება ბანკის დირექტორთა საბჭომ მიიღო.

გამოყოფილი თანხა უკრაინის

მთავრობამ საჯარო სექტორის, ენერგოსექტორისა და სოციალური მომსახურების სფეროს რეფორმების განხორციელებას უნდა მოახმაროს.

მსოფლიო ბანკის განცხადებით, აღნიშნული ტრანში იმ ფინანსური მხარდაჭერის ფარგლებში გადაირიცხება, რომელზეც თებერვალში შეთანხმდნენ და რომელიც წლის ბოლომდე უკრაინისათვის 2 მილიარდი დოლარის გამოყოფას გულისხმობს.

თავდასხმის შედეგად ავღანეთში ნატოს 2 ჯარისკაცი დაიღუპა

ავღანეთში სამხედროს ფორმაში გადაცმულმა ორმა ადამიანმა ნატო-ს სამხედროებს ცეცხლი გაუხსნა. „ბიბისის" ცნობით, შედეგად ორი ჯარისკაცი დაიღუპა. მათი ვინაობა და ეროვნება ჯერ არ სახელდება.

შემთხვევა ჰელმანდის პროვინციაში მოხდა.

გავრცელებული ინფორმაციით, თავდამსხმელები საპასუხო ცეცხლის გახსნისას დაიღუპნენ.

მსგავსი შემთხვევები ავღანეთში ხშირია. თავდასხმებს მოძრაობა „თალიბანი" ახორციელებს. ისინი ნატო-ს სამხედროების ქვეყანაში ყოფნას აპროტესტებენ.

ჰოსეინ შეიხულისლამი: ჩვენი უპირველესი მიზანი ისრაელის განადგურებაა

ირანული საინფორმაციო სააგენტო „ფარსნიუსის" ცნობით, ირანის პარლამენტის სპიკერის მრჩეველი საერთაშორისო საკითხებში ჰოსეინ შეიხულისლამი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მდივნის, ფილიპ ჰამონდის შენიშვნებს გამოეხმაურა.

– ჩვენი პოზიცია უზურპატორი სიონისტური რეჟიმის წინააღმდეგ არ შეცვლილა. ჩვენი უპირველესი მოწოდება, ისრაელის განადგურებაა, – განუცხადა ჟურნალისტებს შეიხულისლამმა სამშაბათს.

ჰამონდმა ორშაბათს ირანის პარლამენტის სპიკერთან, ალი ლარიჯანისთან შეხვედრისას აღნიშნა, რომ ირანის პოზიცია ისრაელის წინააღმდეგ აბსოლუტურად არ შეცვლილა, არადა, წარსულში მომხდარი უთანხმოება დავიწყებას უნდა მიეცეს.

ირანელი მაღალჩინოსნის თქმით, თეირანი არასოდეს დაივიწყებს წარსულს და ბრიტანეთის კოლონიალისტურ ქმედებებსაც.

ირანსა და ბრიტანეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობა 2011 წლის ნოემბერში დასავლეთის მიერ ირანისთვის დაწესებული სანქციების ფარგლებში შეწყდა, როდესაც ქვეყნებმა საკუთარი დიპლომატიური მისიები დახურეს. თუმცა, რამდენიმე დღის წინ ბრიტანეთმა ირანში საკუთარი საელჩო კვლავ გახსნა და დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა დაიწყო.

ტრამპმა ჟურნალისტი დარბაზიდან გააძევა



აშშ პრეზიდენტობის კანდიდატმა ჟურნალისტი საკუთარი პრესკონფერენციიდან გააძევა. მილიარდერი ესპანური ტელეარხის კორესპონდენტის კითხვამ გააღიზიანა, რომელიც მიგრანტების თემას ეხებოდა. ტრამპმა ჟურნალისტს კითხვა რამდენჯერმე გააწყვეტინა, საბოლოოდ კი დაცვის თანამშრომლებმა ესპანელი კორესპონდენტი დარბაზიდან გაიყვანეს. მოგვიანებით ჟურნალისტი პრესკონფერენციაზე დააბრუნეს და ინციდენტი ამით ამოიწურა. მიგრაციის პოლიტიკის შეცვლის აუცილებლობის შესახებ ტრამპმა სკანდალური განცხადებები არაერთგზის გააკეთა. მილიარდერმა მექსიკელ მიგრანტებს კრიმინალები უწოდა და განაცხადა, რომ პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში მათ ქვეყნიდან გააძევებს, მექსიკის საზღვარზე კი 3 ათას კილომეტრიან კედელს ააშენებს.

მანამდე კი, დონალდ ტრამპმა „ენ-ბი-სისთან" ინტერვიუში განაცხადა, რომ მზადაა, შეერთებული შტატების პრეზიდენტის სავარძლის დაკავების შემთხვევაში, ქვეყნიდან ყველა არალეგალი მიგრანტი გააყაროს.

მისი თქმით, მიგრანტები ქვეყნიდან აუცილებლად უნდა წავიდნენ.

– ჩვენ დავიწყებთ მათთან მუშაობას. ჩვენ ან გვაქვს ქვეყანა, ან – არა, – განაცხადა ტრამპმა.

ამერიკის პრეზიდენტის არჩევნები 2016 წლის ნოემბერში გაიმართება.

ანტიისლამისტურ კოალიციას თურქეთიც შეუერთდა

თურქეთი „ისლამური სახელმწიფოს" პოზიციებს საერთაშორისო კოალიციასთან ერთად დაბომბავს. ამის შესახებ პენტაგონის ოფიციალურმა წარმომადგენელმა პიტერ კუკმა განაცხადა. მისივე თქმით, თურქული ავიაგამანადგურებლები საჰაერო ოპერაციებში უახლოეს დღეებში ჩაერთვებიან.

„ბიბისის" ცნობით, ამერიკულმა მხარემ შეთანხმებას „მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი" უწოდა ექსტრემისტებთან ბრძოლის კუთხით.

თურქეთი ამ დრომდე თავს იკავებდა სირიასა და ერაყში ე.წ. ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობისგან. თუმცა, პოზიცია შეიცვალა მას შემდეგ, რაც თურქეთში რამდენიმე თავდასხმა განხორციელდა, რომელშიც ბრალი სწორედ „ისლამურ სახელმწიფოს" დასდეს.

თურქებმა ჯიჰადისტთა პოზიციებზე ავიადარტყმები პირველად ივლისის ბოლოს განახორციელეს. მოგვიანებით ანკარამ ოფიციალურად განაცხადა, რომ გადაწყვეტილება ისლამისტებზე საჰაერო იერიშების მიტანის შესახებ არა ვაშინგტონის დავალებით, არამედ დამოუკიდებლად მიიღეს.

ბაშარ ასადს მოსკოვისა და თეირანის იმედი აქვს

სირიის პრეზიდენტს რუსეთისა და ირანის მხარდაჭერის იმედი მომავალშიც აქვს. ამის შესახებ ბაშარ ასადმა ტელეარხ „ალ-მანარისთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

– ჩვენ რუსებს ვენდობით. მათ რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში დაგვიმტკიცეს, რომ გულწრფელი მეგობრები არიან. რუსები თავს არაფერს გვახვევენ, – აღნიშნა ასადმა.

მისივე თქმით, სირიის კონფლიქტის დარეგულირება ახლო მომავალში ნაკლებად შესაძლებელია:

– კონფლიქტი მას შემდეგ მოგვარდება, რაც მხარეები მოლაპარაკების მაგიდას ყოველგვარი შუამავლების გარეშე მიუსხდებიან, რაც დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით შეუძლებელია.

ბაშარ ასადმა გაეროს სპეციალური წარმომადგენელი სირიის საკითხებში სტეფან დე მისტურუც გააკრიტიკა. მისი მტკიცებით, დიპლომატი სირიის მოქმედი ხელისუფლების მიმართ არაკონსტრუქციულად არის განწყობილი.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

განცხადებები

მკურნალობა

● „ალკოჰოლიზმი", „პახმელია", „ზაპოი", ღვიძლის გაწმენდა ალკოჰოლური ტოქსინისაგან (შეგიძლიათ ფარულად საკვებში შერევა). თამბაქოს მწეველობის მიტოვება, ნერვული სტატესის მოწესრიგება – მხოლოდ მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით, მაღალი შედეგებით 555-45-13-45 599-02-11-46. სულხანი

● ალკოჰოლიზმისაგან, თამბაქოს მწეველობისგან განკურნება, ნერვული სტატუსის, უძილობის მოწესრიგება, მამაკაცთა და ქალთა სხვადასხვა სექსუალური პრობლემის მოწესრიგება (იმპოტენცია, ფრიგიდულობა, კლიმაქსის ჩათვლით), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მოწესრიგება ფიტოთერაპიული და ფუტკრის გარანტირებულად უსაფრთხო პრეპარატებით. 599 65-43-66; 592 25-38-26. ნინო ექიმი.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 30-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. შპს „იადიგარ დაუდის" დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოდ.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორ პუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქნი ფიქრია.

დინამო სუპერთასი მეშვიდედ მოიპოვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დილა – დინამო (თბ) 0:1

თბილისი. მიხეილ მესხი

0:1 ჭანტურიშვილი (77)

დილა: შევჩენკო, ნავალოვსკი, ქარქუშაშვილი, კვახაძე, ხურცილავა, პაპავა, გვალია (კვირკვია 56), ფალავანდიშვილი, ძარია (ახალკაცი 81), მარცვალაძე, მაშუკოვი (მოდებაძე 73)

დინამო: ბეგაშვილი, გველესიანი, რენე ფერეირა, კაკაბაძე, თევზაძე (გ.გურული 90), ცინცაძე, ჯიღაური, ჭანტურიშვილი, პარუნაშვილი, ქვილითაია (კიტეიშვილი 79), იაშვილი (არაბული, 90)

გორის „დილა“ ისევ სუპერთასის გარეშე დარჩა – ქვემოქართლელებმა ვერც მეორე ჯერზე მოახერხეს მისი მოპოვება. სამაგიეროდ, „დინამომ“ მეშვიდედ იყოჩაღა და ამ მხრივ კიდევ დიდი ხნით მოუწევს რეკორდსმენობა.

და მაინც, ეს არ იყო ქვეყნის ორი საუკეთესო გუნდის შეხვედრა. თამაშის ხარისხით, ვამბობთ, თორემ სუპერთასს ჩემპიონი და თასის მფლობელი რომ ათამაშებს, ეს ნათელია. მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე განაცხადა დინამოელთა მწვრთნელმა გია გეგუჩაძემ – ორივე გუნდი ცდილობდა ფეხბურთი ეთამაშაო და მართლაც ასე იყო – ორივე ცდილობდა, მაგრამ ეს მხოლოდ ეპიზოდებში გამოსდიოდათ. დანარჩენ დროს ფეხბურთი თითქმის არ ყოფილა. ტემპი, მოძრაობა, აზროვნება, კრეატიულობა აკლდა ორივე გუნდს და საშუალო ევროპულ დონესთანაც კი არ იყო მიახლოებული.

ცხადია, ამ თამაშების შემდეგ არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ რატომ ვერ აღწევენ ქართული გუნდები ევროთამაშებზე თუნდაც ელემენტარულ შედეგს.

ანგარიშის გახსნა დებიუტშივე ოთარ მარცვალაძეს შეეძლო, რომელიც მეტოქის საჯარიმოში ერთ მცველს გაცდა, მაგრამ სუსტად დაარტყა. გაცილებით სახიფათო იყო დინამოელთა შეტევა – ვახტანგ ჭანტურიშვილის საჯარიმო დარტყმა ალექსანდრე შევჩენკომ მოიგერია, „დინამომ“ შეტევა გააგრძელა და მარჯვნიდან ჯაბა ჯიღაურის ჩამოწოდების შემდეგ, გიორგი ქვილითაიამ ახლო მანძილიდან დაუცველ კარს ააცილა.

შემდეგ მომენტს კარგა ხანს ველოდეთ და ისიც შორეული დარტყმის შედეგად შეიქმნა – ლაშა პარუნაშვილმა ძლიერად დაარტყა და შევჩენკომ ბურთი კუთხურზე მოიგერია. შორეული დარტყმით ცდილობდა გატანას ალექსანდრე იაშვილიც, მაგრამ კარს ააცილა.

კარგი კომბინაცია გაითამაშეს გიორგი ნავალოვსკიმ და მარცვალაძემ. გორელთა მცველმა საჯარიმოში გადააწოდა მარცვალაძეს, რომელმაც ქუსლით დაუბრუნა, მაგრამ ნავალოვსკის დარტყმული ბურთი ოდნავ ასცდა კარს.

ნავალოვსკი კიდევ ერთხელ მოექცა ყურადღების ცენტრში, ამჯერად რენე ფერეირასთან ერთად. ფეხბურთელები წაკინკლავდნენ და მათ დაშოშმინებას დრო დასჭირდა.

ასე მორჩა ტაიმი...

შესვენების შემდეგაც დიდხანს არაფერი შექმნილა. თავიდან მოედნის ცენტრში გორავდა ბურთი და გამწვავებას ვერავინ ახერხებდა, ორივე გუნდი, თითქოს რისკსაც ერიდებოდა. პირველი სახიფათო მომენტიც სტანდარტულს მოჰყვა – მათე ცინცაძემ საშუალო მანძილიდან ბურთი „დილას“ კარს მცირედით ააცილა. ესეც მეორე ტაიმის შუაში იყო.

მატჩში გადამწყვეტი მომენტი 77-ე წუთზე დადგა: ჯაბა ჯიღაურის საუცხოო პასის მერე, ჭანტურიშვილმა მეტოქის საჯარიმოში კარგად ითამაშა, კარიდან გამოსულ შევჩენკოს გასცდა და დინამოელთა 77-ე ნომერმა გამარჯვების მომტანი გოლი გაიტანა – 0:1.

დარჩენილ დროში „დილას“ ჰქონდა ანგარიშის გათანაბრების შანსი, მაგრამ ვერც რომან ახალკაცმა, ვერც ირაკლი მოდებაძემ და ვერც მარცვალაძემ მატჩის თუნდაც დამატებით დროში გადაყვანა ვერ მოახერხეს.

სუპერთასი „დინამოს“ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა რევაზ არველაძემ გადასცა, რომელმაც დაჯილდოების შემდეგ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში უფლებამოსილება შეიჩერა, რადგან პრეზიდენტობაზე შეიტანა განაცხადი. მასთან ერთად დაჯილდოების ცერემონიალში ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი გიორგი ფირცხალავაც მონაწილეობდა.

გია გეგუჩაძე:

– „დინამოს“ გულშემატკივარს ვუსურვებ მორიგ ტიტულს. თამაშს დადებითად შევაფასებ. ვფიქრობ, ლამაზი და სანახაობრივი მატჩი იხილა გულშემატკივარმა. ორივე გუნდი ცდილობდა ფეხბურთის ჩვენებას. „დინამო“ ახალგაზრდებით დაკომპლექტებული გუნდია, „დილა“ კი გამოცდილი ფეხბურთელებით და ეს ფაქტორი მოქმედებდა, მაგრამ საბედნიეროდ ეს მომენტი დავძლიეთ. რაც შეეხება პირველობას, ჯერ ორი ტურია გასული და ადრეა საჩემპიონო კონკურენტებზე საუბარი.

უჩა სოსიაშვილი:

– დაძაბული მატჩი გაიმართა და ორივე გუნდი ცდილობდა შემტევი თამაშის ჩვენებას. კარგი იქნება, ხშირად თუ გაიმართება მსგავსი მატჩები. სუპერთასზე წარმატებულ გამოსვლას ვგეგმავდით, მაგრამ, სამწუხაროდ, დავმარცხდით. რამდენიმე მომენტი ვერ გამოვიყენეთ. იმედია ამის რეაბილიტაციას ჩემპიონატში შევძლებთ.

ვეტერინარებმა საბურთალოს თასი არ დაუთმეს

ვიტ ჯორჯია – საბურთალო 1:1

მცხეთა. მცხეთა პარკი

0:1 რუხაძე (35), 1:1 კახაბრიშვილი (43)

ვიტ ჯორჯია: შეროზია, თათხაშვილი, კალანდია, ჩიტიშვილი, საბაძე, გახარია, ვაზაგაშვილი, ქარელი, ხაბელაშვილი (ბარამიძე 81), კახაბრიშვილი (კურდღელაშვილი 72), მათიაშვილი (ღირდალაძე 58)

საბურთალო: სანიკიძე, მამუჩაშვილი (შიხაშვილი 67), თოთაძე, სოფრომაძე, ნადარაია, ბიძინაშვილი, გვარაძე, ნიკოლაშვილი (ბულუხაძე 71), რუხაძე, ჩოგაძე (ფანცულაია 60), მუზაშვილი

დავით ყიფიანის სახელობის მეთექვსმეტედფინალური თასის გათამაშების განმეორებითი შეხვედრა დედაქალაქურ კლუბებს, „ვიტ ჯორჯიასა“ და „საბურთალოს“ შორის ფრედ, 1:1 დასრულდა. ორი თამაშის ჯამში კი „ვეტერინარებმა“ იმარჯვეს და შემდეგ ეტაპზე თამაშის უფლებაც სწორედ მათ მოიპოვეს.

რაც შეეხება მცხეთურ მატჩს: პირველი ტაიმი საბურთალოელებმა მეტოქეზე უკეთ ჩაატარეს, თუმცა ტაიმის მოგება ვერ შეძლეს. 35-ე წუთზე ბექა ნიკოლაშვილის წამოწყებული კომბინაციის შემდეგ, ირაკლი რუხაძემ მოჭრილი დარტყმით ეფექტური ბურთი გაიტანა. მაგრამ ვიტ ჯორჯიელთა ერთ-ერთ იშვიათ იერიშს ტაიმის მიწურულს საბურთალოელთა კარში გოლი მოჰყვა. უნდა აღინიშნოს, რომ მანამდე მეტოქის ვეტერინართა კარის აღება ჯერ ნიკოლაშვილს, შემდეგ კი ნადარაიას შეეძლო, მაგრამ ამ უკანასკნელმა ახლო მანძილიდან თავით ვერ შეძლო გოლის გატანა.

მეორე ნახევარი თანაბარ ორთაბრძოლაში წარიმართა. ისიც უნდა ითქვას, რომ „საბურთალოს“ საქართველოს თასზე აქცენტი არ გაუკეთებია. ახალგაზრდული გუნდი უფრო ჩემპიონატზეა გადართული და 19 წლამდე ჩემპიონთა ლიგის ტურნირისთვის, ამიტომაც ვეტერინარებთან განსხვავებული შემადგენლობით ითამაშა. და მაინც „საბურთალო“ ეცადა თამაშის გადარჩენას, თუმცა მოწინააღმდეგემ თავი კარგად დაიცვა და ანგარიშის შენარჩუნება შეძლო.

მაკედონია უშანსოდ აგებს, საქართველო უკვე იტალიაშია

ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი მეტოქე და, სავარაუდოდ, უშუალო კონკურენტი მაკედონია ესპანეთთან ზედიზედ მეორედ უიმედოდ დამარცხდა.

პირველ მატჩში რომ ექსიუგოსლავიელები 63:94 დამარცხდნენ, უკვე გამცნეთ. მეორე შეხვედრაშიც თითქმის ანალოგიური სხვაობა დაფიქსირდა. ამჯერად ესპანელებმა 34 ქულით – 88:54 გაანადგურეს მაკედონიელები.

მაყურებელთა პოზიციიდან, მატჩი საკმაოდ უინტერესო გამოდგა, რადგან დაძაბულობა პირველივე მეოთხედში მოკვდა, როცა ესპანელებმა 27:15 ჩამოიტოვეს სტუმრები და მატჩის დარჩენილ დროში ანგარიშში სხვაობა მხოლოდ მასპინძელთა სასარგებლოდ იზრდებოდა.

მაკედონიელთაგან 10-ქულიან ზღვარს ვერავინ მიაღწია. ყველაზე მეტი – 9 ქულა ნატურალიზებულმა ამერიკელმა ცენტრმა რიჩარდ ჰენდრიქსმა მოიპოვა. ვოიდან სტოიანოვსკიმ და ალექსანდერ ტრაიკოვსკიმ 8-8 ქულას მოუყარეს თავი. ესპანელთაგან 24 ქულით საუკეთესო პაუ გასოლი იყო, სან ემეტერიოს ანგარიშზე კი 15 ქულა დაგროვდა.

ამასობაში საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატის პარალელურად, იტალიაში გასამართი ტურნირისთვის ემზადება. სასიხარულო ის არის, რომ გუნდი უკვე სრული შემადგენლობით იტვირთება.

თორნიკე შენგელია მსუბუქი ვარჯიშიდან უკვე სტანდარტულზე გადავიდა და იმ კომბინაციების გათამაშებაში მიიღო მონაწილეობა, რომლებსაც იგორ კოკოშკოვი არჩევს.

თუმცა, ითამაშებს თუ არა თორნიკე შენგელია იტალიაში, საერთაშორისო ტურნირზე, ჯერ კითხვის ნიშნის ქვეშაა.

იგორ კოკოშკოვის გუნდი უკვე იტალიის ქალაქ ტრიესტეშია და ხვალიდან ოთხთა ტურნირში ჩაებმება. ქართველი კალათბურთელების მეტოქეები მასპინძელი იტალია, რუსეთი და მიჩიგანის უნივერსიტეტის გუნდი იქნება.

ტრიესტეს ტურნირი სამ დღეს გასტანს, რომლის კალენდარი ასეთია:

28 აგვისტო: მიჩიგანის უნივერსიტეტი – რუსეთი; იტალია – საქართველო;

29 აგვისტო: იტალია – მიჩიგანის უნივერსიტეტი; რუსეთი – საქართველო;

30 აგვისტო: მიჩიგანის უნივერსიტეტი – საქართველო; იტალია – რუსეთი;

ევროპის ჩემპიონატს ოლიმპიადის გამო მე-7 ადგილისთვის მატჩი დაამატეს

ევროპის ჩემპიონატზე გათამაშების ფორმატი უმნიშვნელოდ შეიცვალა. უფრო სწორად, არსებულ ფორმატს 1 მატჩი დაემატა. აქამდე არ იგეგმებოდა და ახლა ევროპის ჩემპიონატზე მე-7 ადგილისთვის მატჩიც გაიმართება, რაც იმითაა გამოწვეული, რომ ევროპის ზონიდან ოლიმპიადის შესარჩევ ტურნირში არა 4, არამედ 5 ნაკრები იასპარეზებს.

ტოკიოში გამართულ ფიბა-ს ცენტრალური საბჭოს სხდომაზე გადაწყვიტეს, რომ საკვალიფიკაციო შეჯიბრში ევრობასკეტ-2015-ის 3-7 ადგილებზე გასული გუნდები (3-6 ნაცვლად) გადაერთვებიან, ჩემპიონი და ფინალისტი კი ოლიმპიური თამაშების საგზურებს ავტომატურად მიიღებენ.

ევროპის ჩემპიონატზე, 17 სექტემბერს 5-8 ადგილებისთვის საკვალიფიკაციო მატჩები ჩატარდება, აქედან წაგებულები კი, 18 სექტემბერს სწორედ ოლიმპიადის კვალიფიკაციაში გამსვლელი მე-7 საფეხურისთვის იბრძოლებენ.

უკვე ცნობილია, რომ რიოს თამაშების საკვალიფიკაციო შეჯიბრში მსოფლიოს 18 ნაკრები ჩაებმება, რომლებიც ექვსეულებად გაიყოფიან, ჯგუფების 3 გამარჯვებული კი ბრაზილიაში გამგზავრების უფლებას მიიღებს.

სულ, ოლიმპიადის საკალათბურთო ტურნირში პლანეტის უძლიერესი 12 ნაკრები ითამაშებს, რომელთაგან სამის ვინაობა უკვე ცნობილია: მასპინძელი ბრაზილია, მოქმედი მსოფლიო ჩემპიონი აშშ და ოკეანეთის 2015 წლის ჩემპიონი ავსტრალია.

შედეგები

25 აგვისტო

ფეხბურთი

უეფას ჩემპიონთა ლიგა

დინამო(ზ)-შკენდერბიუ	4:1
მაკაბი(თ-ა)-ბაზელი	1:1
მალმიო-სელტიკი	2:0
მონაკო-ვალენსია	2:1
შახტარი-რაპიდი	2:2

ინგლისი. თასი

ასტონ ვილა-ნოტსი	5:3(დდ)
ბირმინგემი-ჯილინგემი	2:0
ბარტონი-მიდლსბრო	1:2(დდ)
ბარი-ლესტერი	1:4
კრ.პალასი-შრიუსბერი	4:1(დდ)
დონაკსტერი-იფსვიჩი	1:4(დდ)
ფულემი-შეფილდი	3:0
ჰარტპული-ბორმნუთი	0:4
ჰალი-როჩდეილი	1:0
ლუტონი-სტოკი	1:1(7:8პ)
მილტონი-კარდიფი	2:1(დდ)
ნიუკასლი-ნორთჰემპტონი	4:1
პიტერბრო-ჩარლტონი	1:4
პორთსმუთი-რედინგი	1:2
პრესტონი-უოტფორდი	1:0
ქპრ-კარლაილსი	1:2
როტერჰემი-ნორვიჩი	1:2
უენსდი-ოქსფორდი	1:0
სანდერლენდი-ექსეტერი	6:3
სუონსი-იორკი	3:0
უოლსოლი-ბრაიტონი	2:1
ვულვზი-ბარნეტი	2:1
ვესტ ბრომვიჩი-პოტვეილი	0:0 (5:3პ)

საფრანგეთი. ლიგის თასი

ევიანი-კლერმონი	3:2
აიაჩო-ლავალი	1:2(დდ)
ბურგი-ნანსი	0:0 (5:4)
ბასტია-ოსერი	1:1 (0:3პ)
დიჟონი-მეცი	2:0
ტური-სოშო	2:0

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

რატომ გააქტიურდა აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობა

აფხაზეთის უმაღლესი საბჭო აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობის მხრიდან დესტრუქციული ქმედებების გააქტიურებაზე საუბრობს. აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს შეფასებით, ბოლო პერიოდში აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობის მხრიდან რუსეთის ინტერესებზე მორგებული დესტრუქციული ქმედებების გააქტიურება იკვეთება.

ამის შესახებ ნათქვამია აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის განცხადებაში, რომელიც აფხაზეთის გავლით რკინიგზის აღდგენითი სამუშაოების მიმდინარეობას ეხმაურება.

– ბოლო პერიოდში, განსაკუთრებით კი, რუსეთის ფედერაციასა და ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობას შორის „მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ“ ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, აშკარად გამოიკვეთა აფხაზეთის მარიონეტული დე ფაქტო მთავრობის მხრიდან რუსეთის ინტერესებზე მორგებული დესტრუქციული ქმედებების გააქტიურება, რაც აშკარად მიუთითებს მოსკოვის პირდაპირი მმართველობის დამყარებაზე ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე.

კრემლი, მისი ჯიბის პრეზიდენტის, რაულ ხაჯიმბას ხელით, ცდილობს სისრულეში მოიყვანოს ის მუხანათური განზრახვები, რაც ვერ მოახერხა ბოლო ოცი წლის მანძილზე – აფხაზეთის მკვიდრი ქართული მოსახლეობის კუთვნილი უძრავი ქონების მითვისებისა და უცხოელებზე, ძირითადად რუსეთის მოქალაქეებზე მიყიდვის დაკანონება; ოკუპირებულ ტერიტორიაზე (გალის რაიონში) ქართულ ენაზე სწავლის აკრძალვა და ა.შ., რათა კიდევ უფრო გააღრმავოს ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებს შორის არსებული ბზარი, შეინარჩუნოს დაძაბულობის მაღალი ხარისხი რეგიონში და ამით გაამართლოს მის მიერვე ანექსირებულ საქართველოს ძირძველ მხარეში თავისი სამხედრო კონტინგენტის მიერ დამყარებული მილიტარისტული რეჟიმი“, – ნათქვამია განცხადებაში.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს შეფასებით, აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობის უკანონო ქმედებების ბოლოდროინდელი გააქტიურება არ არის უნებლიე დამთხვევა ოჩამჩირე-ენგურის ხიდის რკინიგზის მონაკვეთის აღსადგენად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე სარკინიგზო ჯარების 500-კაციანი კონტინგენტისა და 50 სამხედრო ტექნიკის შემოყვანასთან, რომლის ძირითადი მიზანი აფხაზეთის ტერიტორიაზე ყოფილი და ახალი რუსული სამხედრო ბაზების მშენებლობა-აღჭურვაა.

– ყველაფერი ეს ერთობლიობაში რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს წინააღმდეგ მიმართული სტრატეგიული გეგმის ნაწილია, რისი შემსრულებელიც კრემლის ბრმა იარაღად ქცეული აფხაზეთის მარიონეტული მთავრობა ხდება, რაც ძალზე სახიფათოა როგორც რეგიონში არსებული მყიფე მშვიდობისთვის, ისე აფხაზი ხალხის მომავლისთვის.

დარწმუნებულები ვართ, საერთაშორისო საზოგადოება არ დარჩება მიმდინარე პროცესების მხოლოდ პასიურ დამკვირვებლად, სათანადოდ შეაფასებს საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში რუსეთის მიერ წარმოებულ დესტრუქციულ ქმედებებს და მიიღებს ადეკვატურ ზომებს ამ პროცესების შესაჩერებლად, – ნათქვამია განცხადებაში.

ინტერპრესნიუსი

2015 წლის საშემოდგომო გაწვევა დაიწყო

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე, თენგიზ შერგელაშვილი, რომელიც ამავდროულად ცენტრალური გამწვევი კომისიის თავმჯდომარის მოადგილეა, თბილისის რაიონული გამწვევი განყოფილებების ხელმძღვანელებს შეხვდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ უწყებიდან აცნობეს, შეხვედრაზე განხილული იქნა 2015 წლის საშემოდგომო გაწვევის მოსამზადებელი პერიოდისა და პირველი ეტაპის ჩარიცხვის საკითხები.

მათივე განმარტებით, 2015 წლის საშემოდგომო გაწვევა, მთავრობის 30 ივლისის დადგენილების შესაბამისად, 31 დეკემბრამდე გაგრძელდება. გაწვევის პროცესს კოორდინაციას საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო უწევს.

– საშემოდგომო გაწვევის პერიოდში სულ 3 348 წვევამდელის გაწვევა მოხდება. სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევას ექვემდებარებიან 18-დან 27 წლამდე ასაკის ის მოქალაქეები, რომლებსაც არ აქვთ სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევისაგან გათავისუფლების ან მისი გადავადების უფლება. მოქალაქე, რომელიც მიიღებს შეტყობინებას გამწვევ კომისიაზე გამოცხადების ან სამხედრო სამსახურში გაწვევის შესახებ, ვალდებულია, შესაბამის სამსახურში მითითებულ ვადაში გამოცხადდეს.

3.348 გასაწვევი მოქალაქიდან საქართველოს შინაგან სქმეთა სამინისტროს გასამხედროებულ ქვედანაყოფებში გასაწვევთა რაოდენობა – 1.350 წვევამდელით, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროში გასაწვევ მოქალაქეთა რაოდენობა – 998 წვევამდელით, ხოლო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფებში გასაწვევი მოქალაქეების რაოდენობა 1.050 წვევამდელით განისაზღვრა, – აცხადებენ სამინისტროში.

უწყების ინფორმაციით, ქვეყნის მასშტაბით ყველა თვითმმართველ ერთეულში შექმნილია და ფუნქციონირებს გამწვევი კომისიები.

– ამჟამად წვევამდელთა შემკრებ-გამანაწილებელ პუნქტში დაწყებულია წვევამდელთა სამედიცინო შემოწმებები, რომელიც შეფერხებებისა და ხარვეზების გარეშე მიმდინარეობს, – განმარტავენ უწყებაში.

ვახტანგ გომელაური აშშ-ის ელჩის მოვალეობის შემსრულებელს შეხვდა

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი ვახტანგ გომელაური ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის მოვალეობის შემსრულებელს ნიკოლას ბერლინერს შეხვდა.

უწყების პრესსამსახურის ინფორმაციით, მხარეებმა საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ორმხრივი ურთიერთობების ასპექტები განიხილეს და მომავალი სტრატეგიული თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები დასახეს.

შეხვედრაზე ვახტანგ გომელაურმა სახელმწიფოს წინაშე არსებულ გამოწვევებსა და უსაფრთხოების სამსახურის განვითარების ძირითად მიმართულებებზე ისაუბრა. ასევე გესვა ამერიკელ სტრატეგიულ პარტნიორებთან საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლობის აუცილებლობასა და მნიშვნელობას.

საქართველოში აშშ-ის ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა ორმხრივ ფორმატში აშშ-ის მხრიდან თანამშრომლობის მზადყოფნა დაადასტურა და გამოხატა საქართველოს მიერ არჩეული განვითარების კურსის მტკიცე მხარდაჭერა ქვეყნის სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის, დემოკრატიული განვითარების და ევროატლანტიკური ინტეგრაციის შესაბამისი მიმართულებებით.

ნიუსპრესი

ცხინვალი თბილისთან კავშირების აღდგენას არ შეეცდება?!

– თუ საქართველო ხელს არ მოაწერს ძალის არგამოყენებასთან დაკავშირებით შეთანხმებას, მაშინ ცხინვალი თბილისთან კავშირების აღდგენას არ შეეცდება.

ამის შესახებ ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტმა, ლეონიდ თიბილოვმა რადიო „კომსომოლსკაია პრავდას“-თან ინტერვიუში განაცხადა. მისივე თქმით, ცხინვალი ვერ ხედავს საქართველოს პოლიტიკური რიტორიკის ცვლილებას.

თიბილოვი:

– განწყობა რაც დღეს საქართველოშია, ფაქტობრივად არ განსხვავდება 2008 წლამდე და 2008 წლის განწყობისგან. ვფიქრობთ, რომ საქართველომ უნდა მოინანიოს თავისი ქმედებები და სამხრეთ ოსეთს მისცეს გარანტია, რომ 2008 წლის აგვისტოს მოვლენები არ განმეორდება. ეს უნდა მოხდეს ძალის არგამოყენებასთან დაკავშირებით შეთანხმების ხელმოწერის გზით“, – განაცხადა თიბილოვმა.

მისივე თქმით, თუ აღნიშნულ შეთანხმებას ხელი არ მოეწერება, ცხინვალი არანაირ მოლაპარაკებებზე არ წავა.

– საქართველომ უნდა მიიღოს არსებული რეალობა და აღიაროს ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა“, – აღნიშნა ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტმა.

ასტროპროგნოზი
27 აგვისტოსათვის

ვერძი – დღის პირველ ნახევარში რომანტიკულ ურთიერთობებს ერიდეთ. ემოციებს ნუ აჰყვებით. აკონტროლეთ თქვენი საუბარი, სიტყვები. ნუ იქნებით ზედმეტად უხეში და კატეგორიული. **კურო** – პრობლემური დღეა. გარშემომყოფებთან კონფლიქტია მოსალოდნელი. კომპრომისზე თუ არ წახვალთ, სიტუაცია გამწვავდება. **გოუეები** – ნეგატიური დღეა, რომელიც დაძაბულობით გამოიხატება. საღამოს ვითარება შეიცვლება. სულიერ სიმშვიდეს მოიპოვებთ, თანაც შორიდან სასიამოვნო ინფორმაციას მიიღებთ. **ციჩხინი** – ფრთხილად იყავით. დიდია ტრავმების მიღების ალბათობა. თუ ახლობლების რჩევებს არ გაითვალისწინებთ, პრობლემებთან გამკლავება გაგიჭირდებათ. **ლომი** – დღის პირველ ნახევარი ოჯახის წევრებთან ურთიერთობაში კონფლიქტი გელით. საღამოს ვითარება განიმუხტება. გაგიძლიერდებათ შემოქმედებითი პოტენციალი. **ქალწული** – ნუ იქნებით აგრესიული, წინააღმდეგ შემთხვევაში საპასუხო რეაქცია არ დააყოვნებს. **სასწორი** – დაუმთავრებელი საქმეები თავს კვლავ გახსენებთ. ფინანსური და ყოფითი პრობლემები ისევ წამოიჭრება. **ღრიანკალი** – შეეცადეთ, გარშემომყოფების მიმართ უფრო დელიკატური იყოთ. ნებისმიერ სიტუაციაში სიბრძნე და გონიერება გმართებთ. **მშვილდოსანი** – დღეს, სავარაუდოდ, თქვენთვის არასასურველ ადამიანს შეხვდებით ან უსიამოვნო ინფორმაციას მიიღებთ. მამაკაცები ფინანსებს გაუფრთხილდით. ქალებს ვარსკვლავები ახალი გატაცებისგან თავის არიდებას ურჩევენ. **თხის რქა** – ყურადღებით იყავით ახლობლებისა და მეგობრების მიმართ. გამორიცხული არ არის კონფლიქტური სიტუაცია. **მერწყული** – ყველა არასაჭირო კონტაქტი დაუყოვნებლივ გაწყვიტეთ. მოშურნეებსა და ეჭვიან ადამიანებს სათოფეზე არ გაეკაროთ. **თევზები** – საკუთარ თავში ცდუნების დასაძლევად ძალას პოულობთ. გარს მხოლოდ კეთილსაიმედო ხალხი შემოიკრიბეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. ღამე თევზაობა ჩირაღდნის საშუალებით; 2. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 3. მეშახტეთა შორის გავრცელებული ფილტვების სპეციფიკური დაავადება; 4. მე-17 საუკუნის ქართველი დიპლომატი ქალი; 5. მე-14 საუკუნის სპარსელი პოეტი; 9. სინათლის სიკაშკაშის საზომი საერთაშორისო ერთეული; 11. მარნეულის ძველი სახელწოდება; 12. აფრიკის უდაბნოდან მონაბერი ცხელი ქარი; 14. ხორვატიის დედაქალაქი; 18. სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტების დამამზადებელი იტალიელ ოსტატთა გვარი; 19. შემწე, მფარველი ადამიანი.

თარაზულად: 4. ტბა კანადა-აშშ-ს საზღვარზე; 5. ძველბერძენი ისტორიკოსი; 6. უნგრელი კომპოზიტორი; 7. სარეკლამო ლოზუნგი; 8. ლუდის მწარმოებელი ირლანდიური ფირმა; 10. დანაყოფებიანი ლითონის რგოლი კუთხმზომ ხელსაწყოებში; 13. ფართლეულის, ქსოვილების ვაჭარი ძველად; 15. იანვრის თვის ქართული სახელწოდება; 16. „ვეფხისტყაოსნის“ დამსურათებელი უნგრელი მხატვარი; 17. დიდ ტანის აფრიკული ანტილოპა; 20. ფულის გამომძალვა; 21. კორიდის ერთ-ერთი მთავარი მონაწილე; 22. მინერალური წყალი ბორჯომის ხეობაში; 23. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. იაპონია; 2. მარკიორი; 3. პლანეტა; 5. იანიჩარი; 7. ვერდერი; 9. პარანომია; 13. მარსალა; 15. ორვილე; 16. თუშეთი; 18. მღილი.

თარაზულად: 4. ფართინგი; 6. კლაუზულა; 8. კოპენჰაგენი; 10. სადროშო; 11. როტა; 12. კრეიგი; 14. ბონდი; 17. პოლკა; 19. ჭვავი; 20. რეაქტორი; 21. ანსა; 22. თეოდოლიტი; 23. მილიცია.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. პასტიჩო; 2. ჰეინიკენი; 5. წიქარა; 3. ფეთხაინი; 4. ბრავადა; 9. სტიგმა; 11. სუფრული; 12. იაკუძა; 14. ქურხული; 18. აშარი; 19. ფოგტი.

თარაზულად: 4. ბორანი; 5. წერეთელი; 6. ჟესტი; 7. პალიტრა; 8. ანკესი; 10. ლხასა; 13. ჩაქურა; 15. კორიდა; 16. ნერო; 17. ცანა; 20. ხოხობი; 21. ჰაშიში; 22. კასტელი; 23. ტუბერი.

სპორტი

ფერნანდო ლორენტე სევილიაში გადავიდა

მას შემდეგ, რაც ტურინის იუვენტუსმა მარიო მანჯუკიჩი იყიდა, ნათელი გახდა, რომ ფერნანდო ლორენტესთვის გუნდში ადგილი აღარ დარჩა.

ლორენტემ თავად გამოთქვა იუვენტუსიდან წასვლის სურვილი, რადგან, მისი თქმით, ამ გუნდში მას არა აქვს მომავალი. ლორენტეს ესპანეთში უნდოდა დაბრუნება და მან ეს სურვილი აისრულა.

რამდენიმე დღის წინ მისი ტრანსფერი სევილიაში ოფიციალურად დადასტურდა და მომავალი წლიდან ესპანელი ფორვარდი სწორედ ამ გუნდის ღირსებას დაიცავს. შეგახსენებთ, რომ იუვენტუსში წასვლამდე, ლორენტე მრავალი წლის მანძილზე ბილბაოს ატლეტიკში თამაშობდა.

ვიქტორ ვალდესი შეიძლება ბეშიქთაშში აღმოჩნდეს



ბარსელონას ყოფილი მეკარე ვიქტორ ვალდესი კვლავ ახალი გუნდის ძიებაშია. ვალდესი უკვე 33 წლის არის და მისი საფეხბურთო კარიერა ნელ-ნელა დასასრულს უახლოვდება. შარშანდელი სეზონი ვალდესმა მანჩესტერ იუნაიტედში გაატარა, მაგრამ ამ გუნდში ფეხის მოკიდება ვერ შეძლო და მხოლოდ 2 მატჩი ითამაშა. ამ ყველაფერს ლუი ვან გაალთან კონფლიქტიც დაერთო და ამჟამად ესპანელი მეკარეს თავისუფალი აგენტის სტატუსი აქვს.

როგორც ინგლისური პრესა იტყობინება, ვალდესმა უკვე მიაღწია შეთანხმებას ბეშიქთაშთან და მალე ამ გუნდს შეუერთდება. ჯერჯერობით ეს ყველაფერი ოფიციალურად არ დადასტურებულა, მაგრამ ვალდესის თურქეთში გადასვლაზე უკვე დიდი ხანია საუბრობენ.

ვალდესმა ბარსელონაში 10 სეზონი ჩაატარა და გუნდის ლეგენდადაც ითვლება.

მამუკა კვარაცხელია კლუბებს მოუწოდებს — დაწერეთ განცხადებები წევრობის უფლებაზე

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ახალი წევრი მიღებისთანავე, ვიმეორებ, მიღებისთანავე ხდება დელეგატი და გაჩნია ხმის მიცემის უფლება. რადგან იგივე წესდებაში აღნიშნულია, რომ მათი არჩევა უნდა მოხდეს სასწრაფო წესით.

აქედან გამომდინარე, იმ კლუბებმა, რომელთაც არ გაჩნიათ ხმის მიცემის უფლება, უნდა შეიტანონ განაცხადი სასწრაფოდ, რათა თავი იგრძნონ ფედერაციის სრულყოფილ წევრად. ამისთვის არჩევნებამდე მცირე დროა დარჩენილი.

ასევე შესაძლებელია ხმის მიცემა დაუბრუნდეს „ზესტაფონს“, მაგრამ რატომ არ ჩქარობს მისთვის მისაღებ პროცედურას, ვერ გეტყვით.

როგორც ხედავთ, ლაფსუსებით ძალიან მარტივად შეუძლია ფედერაციამ ეს ყველაფერი სათავისოდ გამოიყენოს, მაგრამ აქ იმიტომ ვარ, რომ ამ ლაფსუსების აღმოფხვრაზე ვიმუშაოთ და ეს ყველა კანდიდატმა უნდა იცოდეს.

ასევე სასურველი იქნება, თუ არჩევნები ჩატარდება პირდაპირ ეთერში და საზოგადოება თავისი თვალით ნახავს და მოისმენს კანდიდატობის მსურველი პიროვნებების საარჩევნო პროგრამას.

სამგლოვიარო განცხადებები

შვილები მანანა და ლევან ჯაფარიძეები, შვილიშვილი სოფიო იოსელიანი, შვილთაშვილები ანასტასია იოსელიანი, მარიამ და ჭაბუკა თოფაძეები, რძალი ნანა ჯაფარიძე, ძმა ვასილ (ვასო) ჯაფარიძე, ძმისშვილები, დისშვილები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვახტანგ (ვახუშტი) ჯაფარიძე

პანაშვიდი: 27, 28 აგვისტოს, იაკობ ნიკოლაძის ქ.№8, IV სართული.

გამოსვენება: 29 აგვისტოს, 15 საათზე, ვერის სასაფლაოს წმ. პანტელეიმონ მკურნალის ტაძრიდან.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგე, თეატრმცოდნე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

მანანა გეგეჭკორი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

მიიღეთ კუნელი და დაივიწყეთ ნევროზი

გულის დაავადებების შემთხვევაში, აგრეთვე გულით გამოწვეული თავბრუსხვევისა და ხუთვის დროს, ნევროზებისა და კლიმაქსის დაწყების წინ სასარგებლოა შემდეგი ნაყენის მიღება – აიღეთ 3 სუფრის კოვზი კუნელის ყვავილი, დაასხით 600 მლ (3 ჩაის ჭიქა) მდუღარე წყალი, გააცივეთ და გაწურეთ. მიიღეთ თითო ჭიქა დღეში 3-ჯერ. ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას სპირტის ნაყენი. კუნელის ახალი ყვავილის წვენს დაუმატეთ 2 წილი სპირტი (90 გრადუსიანი) და გააჩერეთ 15 დღე. მიიღეთ დღეში 3-ჯერ 4 წვეთი.

– აიღეთ 0,5 კილოგრამი მწიფე კუნელის ნაყოფი. გარეცხეთ და დაჩეჩქვეთ ხის ჩაქუჩით, დაასხით 100 მლ (1/2 ჩაის ჭიქა) წყალი. გააცხელეთ 40 გრადუსამდე და დაწნეხეთ წვენის გამოსაწურში. მიიღეთ 1 სუფრის კოვზი 3-ჯერ დღეში ჭამის წინ. ეს ნაყენი კეთილმყოფელ გავლენას ახდენს ასაკოვანი ხალხის გულის კუნთის მუშაობაზე, იცავს გულს გადაღლილობისგან.

– გულის ხუთვის, ვეგეტონევროზების ჰიპერტონული დაავადებების დროს – აიღეთ 1 სუფრის კოვზი კუნელის მშრალი ნაყოფი, დაასხით 200 მლ (1 ჩაის ჭიქა) მდუღარე წყალი, გააჩერეთ 2 საათის განმავლობაში თბილ ადგილას (ჰაერლუმელში, ქურაზე), გაწურეთ, ნაყენი შეინახეთ ბნელ, გრილ ადგილას არაუმეტეს 2 დღე-ღამისა. მიიღეთ 1-2 სუფრის კოვზი 3-4-ჯერ დღეში ჭამის წინ.

კუნელის წვენის მისაღებად აიღეთ 1 კგ ნაყოფი, 500 გრამი შაქრის ფხვნილი, 1 ლიტრი წყალი. გარეცხილ ნაყოფს დაასხით ცოტა წყალი და ხარშეთ 1-2 საათის განმავლობაში დაბალ ცეცხლზე, გახეხეთ საცერში, მიღებულ პიურეს დაუმატეთ შაქარი, წყალი, დადგით ისევ დაბალ ცეცხლზე, მიიყვანეთ დუღილამდე, გააცივეთ.

მიიღეთ ორი ჩაის კოვზი დღეში ერთხელო, ნელა, აუჩქარებლად, ერთი მეორის მიყოლებით. დღეები არ გააცდინოთ. წამალი უნდა გეყოთ სამი თვის განმავლობაში.

– მინდვრის შვიტას ყვავილი – 2 წილი, მატიტელას ბალახი – 3 წილი, კუნელის ყვავილი – 5 წილი. ამ ნარევის ერთ სადილის კოვზს დაასხით ერთი ჭიქა მდუღარე წყალი, დააყენეთ ერთი საათი, გაწურეთ, მიიღეთ 1/3 ჭიქა 3-4-ჯერ დღეში აჩქარებული გულისცემის და უძილობის დროს.

– ფარსმანდუკის ბალახი – 3 ნაწილი, ვალერიანის ძირები – 1 ნაწილი, 1 სადილის კოვზი ამ ნარევისა დააყენეთ 1 ჭიქა ცივ წყალში 3 საათის განმავლობაში. ვადაულოთ ორთქლზე 15 წუთი, გადავწუროთ. დავლიოთ 1/3 ჭიქა სამჯერ დღეში გულის აჩქარების, ნერვული აღგზნებისა და უძილობის დროს.

– გულ სისხლძარღვთა დაავადებისა და ჰიპერტონიის დროს ხორცსაკეპში გაატარეთ 500 გრამი ლიმონი კანიანად (წინასწარ კურკები ამოაცალეთ), დაამატეთ 500 გრამი ასკილი, 500 გრამი შტოში და 500 გრამი თაფლი. დააყენეთ დღეღამის განმავლობაში. მოხმარებისას მაცივარში გქონდეთ შენახული. მიიღეთ ჭამამდე ნახევარი საათით ადრე 1 სუფრის კოვზი 3-ჯერ დღეში.

1 ლიტრი წყალი აადუღეთ, აიღეთ თითო მწიკვი შემდეგი ბალახებისა: შავბალახა, ბერულა, კატაბალახას დაჭრილი ძირები, მატიტელა და სამკურნალო გვირილა.

ყველაფერი ეს დააყენეთ თერმოსში ნახევარი საათით. გაწურეთ. შემდეგ ორივე შემადგენლობა კარგად აურიეთ ერთმანეთში, დადგით ბნელ ადგილას 3 დღით.

პირველად მიირთვით თითო ჩაის კოვზი დღეში 2-ჯერ (დილა საღამოს) ერთი კვირის განმავლობაში, შემდეგ კი – 1 სუფრის კოვზი 2-ჯერ დღეში.

ათდღიანი შესვენების შემდეგ წამალი ისევ დაამზადეთ და გააგრძელეთ მკურნალობა ერთი წლის განმავლობაში.

როდის არის საშიში მასტოპათია

მასტოპათია სარძევე ჯირკვლის კეთილთვისებიანი დაავადებაა, რომელიც ჰორმონული დისბალანსის (წონასწორობის დარღვევის) ფონზე ვითარდება. მასტოპათია უმთავრესად რეპროდუქციული ასაკის ქალებს ემართებათ. დაავადება შეიძლება როგორც ფსიქო-ემოციურმა ფაქტორმა, ასევე ქალის ორგანიზმში მიმდინარე ჰორმონალურმა ცვლილებებმა გამოიწვიოს.

დაავადების განვითარების რისკს ზრდის ქრონიკული გამოუძინებლობა და არასრულფასოვანი კვება, დიდი ოდენობით ცხიმების, ცხოველური პროდუქტების მოხმარება, ხილის, ბოსტნეულის, საკვები უჯრედისის დეფიციტი. უარყოფითად მოქმედებს მზეზე და სოლარიუმში გარუჯვა, ალკოჰოლი და ნიკოტინი, სინთეტიკური ტანსაცმელი, ტანზე მერისმეტად მომდგარი, რკინიანი ბიუსტჰალტერი, რომელიც ტრავმას აყენებს სარძევე ჯირკვალს.

სარძევე ჯირკვლის ტკივილი ყოველთვის მასტოპათიის ნიშანი არ არის. დიაგნოზის დასასმელად აუცილებელია საფუძვლიანი გამოკვლევა. კერძოდ: ხელით გასინჯვა (პალპაცია); ექოგრაფია; მამოგრაფია; სისხლში სასქესო და ფარისებური ჯირკვლის ჰორმონთა დონის განსაზღვრა; ძუძუდან გამონადენის არსებობა.

მასტოპათიის საეჭვო სიმპტომებია: სარძევე ჯირკვლის ტკივილი; სარძევე ჯირკვლის გამკვრივება; წინარმენსტრუაციული სინდრომი (გამკვრივება და ტკივილი თავს იჩენს ციკლის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე); ხსენის ტიპის გამონადენი ჯირკვლიდან; გამკვრივებული უბნების ტკივილი; ჰორმონული ბალანსის დარღვევა;

მასტოპათიის მიზეზები შეგვიძლია რამდენიმე ჯგუფად დავყოთ: შვილსნობის ფუნქციის დარღვევა; ნაადრევი (12 წლამდე) მენსტრუაცია; უნაყოფობა; ორსულობა-მშობიარობის უქონლობა; 30 წლის შემდეგ ორსულობა; აბორტები; ძუძუთი ხანმოკლე კვება; დაგვიანებული მენოპაუზა; მოუწესრიგებელი სქესობრივი ცხოვრება და ფსიქოლოგიური ფაქტორები.

* * *

ითვლება თუ არა მასტოპათია კიბოს წინა მდგომარეობად?

მასტოპათია, კვანძოვანი, ძუძუს კიბოს წინა მდგომარეობად ითვლება. მის ადრეულ გამოვლენას დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან დაავადება პროგრესირებს, ხოლო კვანძების არსებობისას, მით უმეტეს, თავისთავად არ გაიწოვება.

მასტოპათიის დროს აუცილებელია მკურნალობა მამოლოგმა დანიშნოს. პირველ რიგში უნდა მოწესრიგდეს ჰორმონალური დისბალანსი.

მასტოპათიას ჰორმონული და არაჰორმონული მეთოდებით მკურნალობენ. მკურნალობის კურსი უშუალოდ გამომწვევი მიზეზის წინააღმდეგ, ნერვული სისტემის, თირკმელების, ღვიძლისა და სხვა ორგანოთა ფუნქციების ნორმალიზებისკენ არის მიმართული.

შორსწასული, კვანძოვანი ფორმის მედიკამენტურ თერაპიასთან ერთად ტარდება ქირურგიული მკურნალობა. დროული და მართებული კომპლექსური მკურნალობისას მასტოპათია უმეტესად 1-3 თვეში იკურნება, მაგრამ წელიწადში 1-2-ჯერ სასურველია ჩატარდეს საკონტროლო გასინჯვა.

. . .

ხალხურ მედიცინაში მასტოპათიას ჭარხლით მკურნალობენ

1. თანაბარი რაოდენობით შეურიეთ ერთმანეთს გახეხილი ჭარხალი და თაფლი. ჭაუსვით კომბოსტოს ფოთოლს და დაიფინეთ მტკივან უბანზე. უმჯობესია, პროცედურა ღამით ჩაიტაროთ.

2. კომბოსტოს ფოთოლს წაუსვით კეფირი ან დაბალპროცენტიანი მაწონი და დაიფინეთ.

3. თამბაქოს ფოთოლს წაუსვით თაფლი, დაიფინეთ ძუძუს მტკივან უბანზე, დაიფარეთ ბუნებრივი ქსოვილი და ასე გაიჩერეთ რამდენიმე საათი.

მასტოპათიის დროს კომბოსტო უვნებელია, შეიძლება სუფთა კომბოსტოს ფოთოლის დაფენაც. მას უკუჩვენება არ აქვს, შეშუპებას ხსნის და ტკივილებიც მცირდება.

უნდა გახსოვდეთ, რომ მცენარეული საშუალებებით მკურნალობა შედეგს მხოლოდ სამ-კვირიანი კურსის ჩატარებისა და პარალელურად ჰორმონალური პრეპარატების მიღებისას მოგცემთ.

პაპუნა შარიქაძე საქართველოდან წავიდა

ახალგაზრდა პიანისტი და ჯაზმენი პაპუნა შარიქაძე, რომელსაც ბექა გოჩიაშვილის მომავალს უწინასწარმეტყველებენ, საქართველოდან წავიდა. ის ფართო საზოგადოებამ მუსიკალური პროექტით „ანა ბანა“ გაიცნო. გამოსამშვიდობებელი კონცერტი მან მუშტაიდის პარკში მოძრაობის თეატრში გამართა.

„პაპუნა შარიქაძე და მეგობრები“ – ასე უწოდა კონცერტს პიანისტმა, რომელზეც პაპუნამ თავის ერთგულ მსმენელს ბოლო შანსი მისცა მის თბილისურ კონცერტზე დასასწრებად. ბერკლიში წასვლამდე ყველას მიეცა საშუალება, კონცერტს დასწრებოდა და პაპუნა შარიქაძეს დამშვიდობებოდა.

ეკა ირემაშვილი

მედიცინა

TV პროგრამა

ხუთშაბათი 27 აგვისტო

08.00 ან/ფ "ტატონკას თავგადასავალი" **09.00** **ᲫᲘᲣ-ᲓᲝ.** მსოფლიოს ჩემპიონატი. (პ/ტრ ასტანადან) **13.30** დ/ფ "მეფის მუმიის საიდუმლო" **14.30** "საუკუნის პორტრეტები" **15.00** **ᲫᲘᲣ-ᲓᲝ.** მსოფლიოს ჩემპიონატი. ფინალები. **16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **17.00** ტ/სერ. **"ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲘ"** **19.30** "სიტყვების თამაში" (გ/ჩვ) **20.30** ტ/სერ. **"ᲔᲤᲔᲡ ᲡᲐᲛᲘ ᲕᲐᲠᲓᲘ"** **21.30** მხ/ფ **"ᲡᲐᲛᲘᲗ ᲛᲘᲕᲣᲯᲐᲕᲐᲠᲗ ᲝᲡᲜᲔᲤᲔᲑᲘ"** (რ.უილიამსი) **23.30** "უცნობი მუსიკა" (გ/ჩვ) **01.00** მხ/ფ **"ᲐᲛᲐᲕᲔ ᲓᲠᲝᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚ ᲬᲚᲔᲑᲘ"**

08.00, 15.00, 17.00, 21.00 "ბრიფინგის დრო" **09.00** დ/ფ "დრაკონების მუზეუმი" **10.00** "გეოფაქტორი" **10.10, 19.00, 22.00** ტ/სერ. **"ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲢᲔᲑᲘ"** **11.00** დ/ფ "პროფესორ ომიშენის წარმოუდგენელი მფრინავი მანქანები" **12.00** მხ/ფ **"ᲑᲘᲭᲘᲜᲐ ᲬᲧᲐᲚᲖᲔ"** **14.00** დ/ფ "სიგარეტის გადაგდება" **16.00** დ/ფ "ლურჯი დუნი და დაკარგული ცხენები" **18.00** დ/ფ "როცა მეცნიერება სანანპიროს იკვლევს" **20.00** "მოამბე" (5 ენაზე) **21.30** ქართული დოკუმენტალისტიკა – ექვთიმე I ნაწ. **23.00** "ნამდვილი დრო" **23.30** მხ/ფ **"ᲔᲠᲗᲘᲐ ᲥᲐᲚᲘᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ"** (ბ.ანდერსონი)

07.30 სერ. **"ᲛᲔᲠᲚᲘᲜᲘ"** **08.30** სერ. **"ᲙᲐᲠᲛᲐ"** **09.00** კულინარიული დუელი **10.00** სერ. **"ᲨᲝᲨᲐ ᲥᲐᲚᲘ"** **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.05,** ქრონიკა **11.20** სერ. **"ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲙᲐᲢᲔᲑᲐᲠᲐ ᲓᲘᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡᲘᲡ"** **9** სერ. **13.00** შალვა რამიშვილის შოუ **14.40, 15.55** სერ. **"ᲝᲠᲘ ᲑᲔᲓᲘ"** **17.35** სერ. **"ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ ᲡᲐᲤᲔᲮᲚᲘᲡᲐᲠᲘ"** **18.45, 19.03** სერ. **"ᲒᲖᲐᲯᲕᲐᲠᲔᲯᲘᲜᲘ"** **20.55** სერ. **"ᲕᲐᲕᲘᲡ ᲕᲐᲠᲓᲘ"** **22.00** სერ. **"ᲫᲣᲛᲝᲠᲔᲑᲘ"** **4** სერ. **23.30** შალვა რამიშვილის შოუ **00.30** ერთხელ საქართველოში **01.00** მხ/ფ **"ᲘᲐᲠᲘᲡᲯᲕᲔᲠᲜᲘᲡᲔᲑᲐ"** (ლ.ლოპანი) **03.15** მხ/ფ **"ᲔᲓᲘᲡᲝᲜᲘ"** (კ.სპეისი)

07.00 სერ. **"ᲦᲐᲛᲐᲖᲘ ᲡᲘᲖᲛᲐᲠᲘ"** **08.00** მხ/ფ. **10.15** სერ. **"ᲓᲘᲜᲐᲡᲢᲘᲐ"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** სერ. **"ᲑᲐᲜᲨᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲓᲘᲐᲜᲘ ᲤᲔᲠᲘ"** **15.40** სერ. "ლამაზი სიზმარი" **16.55** სერ. **"ᲛᲝᲯᲐᲓᲝᲒᲔᲑᲘ"** **18.55** სერ. **"ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲘᲡ ᲪᲐ"** **19.55** სერ. **"ᲭᲐᲠᲐᲓᲘ"** **22.00** მარაო **23.30** ქალთა სახეები **00.00** სერ. "გრიმი" **01.00** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი **03.30** მხ/ფ.

06.10 მუს.პაუზა **06.15** ისტორიის გაკვეთილი "ფერეიდანი" **06.40** პატერიკი გლახაკთათვის გაცემული მოცალეება **06.50** დეკორატიული ფლორა "ᲘᲘᲠᲘᲜᲘ-ᲘᲝᲠᲓᲐᲜᲐᲚᲐᲜᲘ" **07.05** ქართული ალბომი "ᲩᲝᲤᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ "ᲐᲓᲐᲛᲘ, სადაც ყველანი ერთამანეთს ვხვდებით..." **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** მულტ.ფილმი "კეროტის თავგადასავალი" **16** სერ. **09.05** "განთიადი" (ჯოლაჟი) **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ერთსულოვნების სალონი "მონაზვნული ცხოვრება" **11.30** ეპოქის სახელები "ზვიად გამსახურდია" **12.10** მხ/ფ **"ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲠᲪᲮᲐᲚᲘ"** **13.15** ღვთის სახლი "ტაო-კლარჯეთი" **13.30** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **14.00** დოკ. ფ. "დები ტრევისის საოცარი სახლი" **14.30** ქრისტიანული სწავლება **15.05** ივერიის ეკლესია "მეფე ბაგრატ III და საქართველოს ეკლესია" **15.20** მულტ. ფილმი ქართული **15.40** საყმაწვილო ენციკლოპედია **16.10** კონცერტი **16.30** საღვთისმეტყველო საუბრები "ძველი აღთქმის წმინდა წიგნების შესახებ" **17.05** ჩვენი ფონდი "ედიშერ ჭელიძე-საქარ. ეკლესიის სამოციქულო დაფუძნებულობის უტყუარობა" **17.25** საუფლონი "მარიამობა-"გიხაროდენ სასუფეველსა" **18.10** მულტ. ფილმი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** პორტრეტები "ბალანჩივაძეები" **20.10** დოკ. ფ. **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** პორტრეტები ერთსულოვნების გალერეადან **22.25** კარაბადინი "წამალი" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ერთსულოვანი ოჯახი "იაკობაშვილები" **23.35** დოკ. ფ. **00.30** ქართული ალბომი "ჩოფიკაშვილი "ადგილი, სადაც ყველანი ერთამანეთს ვხვდებით..."

ᲛᲐᲔᲡᲢᲠᲝ **7.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 00.00,** "მაესტროს ახალი ამბები" **7.30** ანიმაცია **"ᲙᲘᲜᲒ-ᲤᲣᲡ ᲝᲚᲒᲐᲢᲘ"** **8.30** **ᲡᲔᲠᲘᲐᲚᲘ "ᲙᲐᲠᲛᲐ"** **10.00** **ᲡᲔᲠᲘᲐᲚᲘ "ᲥᲣᲗᲘ ᲓᲐ ᲒᲣᲜᲔᲑᲘ"** **12.30** **ᲡᲔᲠᲘᲐᲚᲘ "ᲣᲛᲔᲠᲘᲚᲘ ᲕᲔᲠ ᲔᲡᲕᲜᲘᲗᲔᲑᲐ"** **13.35** **ᲡᲔᲠᲘᲐᲚᲘ "ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚᲘ ᲓᲠᲝ"** **15.35** სამედიცინო გადაცემა "პულსი" **16.00** **ᲡᲔᲠᲘᲐᲚᲘ "ᲛᲔᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲜᲒᲔᲚᲝᲜᲘ"** **18.30** დოკ. ფილმი "საქართველო მე-XX საუკუნე" **19.00** **ᲡᲔᲠᲘᲐᲚᲘ "ᲛᲘᲧᲕᲘ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲓᲜᲘᲠᲕᲐ ᲡᲐᲠ"** **20.05** **ᲡᲔᲠᲘᲐᲚᲘ "ᲨᲐᲕᲘ ᲤᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ"** **21.00** "მაესტროს ცხრიანი" **22.00** **ᲡᲔᲠᲘᲐᲚᲘ "ᲒᲔᲚᲐᲫᲘᲡ ᲬᲐᲕᲘ"** **23.00** **ᲡᲔᲠᲘᲐᲚᲘ "ᲥᲠᲘᲗ ᲡᲔᲘᲪᲘ ᲓᲐ ᲨᲣᲠᲐ"** **0.30** **ᲡᲔᲠᲘᲐᲚᲘ "ᲙᲐᲠᲛᲐ"** **2.00** **ᲡᲔᲠᲘᲐᲚᲘ "ᲥᲣᲗᲘ ᲓᲐ ᲒᲣᲜᲔᲑᲘ"**

პროგრამები
იბეჭდება სააგენტო
„ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

27 აგვისტო

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.4161	ევრო — 2.7701
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.8114	100 რუსული რუბლი — 3.4679

ამინდის პროგნოზი 27 აგვისტოსათვის

მარიტა როხვაძემ ნაჩუქარ ბინაში რემონტი დაასრულა

„ჯეოსტარის“ გამარჯვებულმა მომღერალმა მარიტა როხვაძემ ამ კონკურსში მოგებული ბინის რემონტი დაასრულა. ბათუმში მდებარე ბინა ჯეოსტარის გამარჯვებულს სამწლიანი დაგვიანებით გადაეცა, მისი რემონტი კი მომღერალმა მხოლოდ ახლა დაასრულა.

– აღსრულდა და დასრულდა ჩემი სახლუკა, ალილუია! – დაწერა მომღერალმა სოციალურ ქსელში და კუთვნილ ბინაში გადაღებული ფოტოებიც გამოაქვეყნა.

მარიტა როხვაძემ „ჯეოსტარი“ 2011 წლის 31 დეკემბერს მოიგო, ბინა კი მხოლოდ 2014 წელს გადაეცა, რადგან სწორედ მაშინ დასრულდა ბინის მშენებლობა.

საბედნიეროდ, მარიტას გაუმართლა, რადგან ბევრი ცნობილი სახე, რომლებმაც სხვადასხვა კონკურსებში ბინები მოიგეს, დღემდე ელოდებიან მოგებული პრიზების მიღებას.

ქეთა თოფურია მოსკოვში დაბრუნდა

„ა სტუდიოს“ ქართველი ვოკალისტი ქეთა თოფურია ამერიკიდან მოსკოვში დაბრუნდა. ნახევარწლიანი ამერიკული ცხოვრება დასრულდა და ქართველი მომღერალი კვლავ რუსეთის დედაქალაქში ჩავიდა საცხოვრებლად.

ქეთა მოსკოვში შვილთან ოლივიასთან და მეუღლესთან ლევ გეიხმანთან ერთად დაბრუნდა. მისი ქალიშვილი უკვე ორი თვისაა. ქეთა დეკრეტულ შვებულებაში ყოფნას აღარ აპირებს და სცენაზე აქტიურად დაბრუნებას გეგმავს.

„7 დუის რუ“-ს ცნობით, მომღერალი სექტემბრიდან შეუდგება სტუდიურ მუშაობას და კონცერტებსა და გასტროლებშიც აქტიურად ჩაერთვება. თუმცა ქეთას გადაწყვეტილი აქვს, ხანგრძლივ გასტროლებზე უარი თქვას. ამის მიზეზი მისი ქალიშვილია. მომღერალს არ სურს ძიძა ჰყავდეს, ამიტომაც სულ პატარასთან ერთად არის, სამსახურშიც კი თან დაატარებს და სურს, შვილის აღზრდას და საოჯახო საქმეებს დამოუკიდებლად გაუძღვეს.

„ალი და ნინო“ დაზიანდა

მხატვარ-მოქანდაკის თამარ კვესიტაძის მონუმენტი ალი და ნინო დაზიანდა. ბათუმის სავიზიტო ბარათს შტორმმა საძირკველი დაუზიანა, რის გამოც, დილიდანვე დაიწყო მონუმენტის გადატანის სამუშაოები. ქანდაკების აწევის დროს, ამწეს „ტროსი“ გაუწყდა და მონუმენტი დაზიანდა. გავრცელებული ინფორმაციით, დაზიანებულია ნინოს ქანდაკება.

თამარ კვესიტაძისთვის ამ მონუმენტის შექმნის შთაგონების წყარო ყურბან საიდის გახმაურებული რომანი „ალი და ნინო“ გახდა. მის ბათუმში დადგმას თავიდანვე ჰყავდა მოწინააღმდეგეები, თუმცა საბოლოოდ ის აჭარის შავი ზღვისპირეთში მაინც დაიდგა და ბათუმის სავიზიტო ბარათადაც იქცა.

ბათუმის მერიას ქანდაკების სხვა ადგილას გადატანა არაერთხელ სურდა. ამისთვის თანხა საპრეზიდენტო ფონდიდან რამდენჯერმე გამოიყო, თუმცა მისი გადატანა ამ დრომდე ვერ განხორციელდა. ამჯერად დემონტაჟი კრახით დასრულდა და ალი და ნინოს ქანდაკება დაზიანდა.

როგორც ქანდაკების ავტორი აცხადებს, ის საქმის კურსში არავის ჩაუყენებია, შესაბამისად, თამარ კვესიტაძისთვის ცნობილი არ იყო, რომ მისი ნამუშევრის გადატანა ბათუმში სწორედ დღეს იგეგმებოდა. მას რამდენიმე თვის წინ დაუკავშირდნენ და განუცხადეს, რომ ქანდაკებას ზღვა საძირკველს აცლიდა, რის გამოც, მისი გადატანა უნდა მომხდარიყო ეშმაკის ბორბლის გვერდით.

მოქანდაკემ შეთავაზებულ წინადადებაზე უარი განაცხადა, რადგან მისი ნამუშევარი ეშმაკის ბორბლის გვერდით არ უნდა განთავსებულიყო. ამის შემდეგ, ისევ გამოცხადდა ტენდერი და ისე დაიწყო ალის და ნინოს დემონტაჟი, რომ თამარ კვესიტაძისთვის არავის არაფერი შეუტყობინებია.

მოამზადა ეკა ირემაშვილი

მამუკა კვარაცხელია კლუბებს მოუწოდებს – დაწერეთ განცხადებები წევრობის უფლებაზე

როგორც ცნობილია, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნები 3 ოქტომბერს ჩატარდება. სფფ-ს საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით პრეზიდენტობის მსურველთა კანდიდატურა ჯერ უეფას მედია ოფიცერმა მამუკა კვარაცხელიამ, შემდეგ კი სფფ-ს გენერალურმა მდივანმა, რევაზ არველაძემ დაარეგისტრირა.

მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით პრესკონფერენცია გამართა კვარაცხელიამ, რომელმაც იმ ლაფსუსებზე ისაუბრა, რაც თან სდევს 3 ოქტომბერს გასამართ არჩევნებს.

მამუკა კვარაცხელია:

– პირველ რიგში მინდა ვთქვა, იმათზე მაგრად მიყვარს ქართული ფეხბურთი, ვინც ახლა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაშია. მაქვს მათზე მაგარი პროგრამაც, თუ როგორ უნდა ეშველოს ქართულ ფეხბურთს, მაგრამ ახლა არა პროგრამაზე, არამედ იმ ლაფსუსებზე მინდა ვისაუბრო, რაც აშკარად ხელს უშლის ქართული ფეხბურთის სწორად მართვას და ეს, პირველ რიგში, არჩევნებს ეხება.

ხელთ მაქვს ჩემ მიერ ამოწერილი ფედერაციის წევრი გუნდების მაისისა და აგვისტოს სიები. მაისის სიებში ფიგურირებენ რუსთავის „ოლიმპი“, ზუგდიდის „მგლები“ და ცხინვალის „სპარტაკი“, ხოლო აგვისტოს სიებში არიან – რუსთავის „მეტალურგი“, „ზუგდიდი“ და „ცხინვალი“. აქედან, სახელი მხოლოდ „ცხინვალს“ შეეცვალა და ის იგივე გუნდია, მაგრამ აღმასკომს არ დაუმტკიცებია, რადგან ამ პერიოდში მსგავსი სხდომა არ შემდგარა, ხოლო დანარჩენი გუნდები საერთოდ სხვადასხვა გუნდებია და საინტერესოა, როგორ აქვთ ხმის მიცემის უფლება. ლოგიკურად გამოდის, რომ ეს სამი გუნდი არჩევნებში მონაწილეობას არ უნდა იღებდეს.

ასევე განსახილველია დელეგატების მცირე რაოდენობა. თითქმის ყველა ევროპულ ქვეყანაში დელეგატების რაოდენობა 100-ს აჭარბებს, არის გამონაკლისებიც, მაგრამ 52-ზე ნაკლები არ შემხვედრია. ჩვენთან კი უმაღლესი ლიგის 7 გუნდს ხმის მიცემის უფლება არ აქვს. ესენი არიან: „საბურთალო“, საჩხერის „ჩიხურა“, თბილისის „ლოკომოტივი“, თერჯოლის „საპოვნელა“, ბათუმის „დინამო“, ქობულეთის „შუქურა“ და ლანჩხუთის „გურია“. 7 გუნდი ლამის ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე გუნდების ნახევარია.

35 ხმის მიმცემი სუბიექტიდან, 9 მისი წევრია და ფეხბურთის ფედერაციიდან ფინანსდება: ვეტერანთა კავშირი, ქალთა ფეხბურთი, პლაჟის ფეხბურთი, მსაჯთა და მსაჯთა კომიტეტი, ფუტსალის ასოციაცია, ეზოს ფეხბურთი, ინვალიდ-ამპუტანტთა ასოციაცია, საფეხბურთო პროფკავშირები, სკოლების ფეხბურთი.

ასეთ დროს 18 მხარდამჭერის პოვნა და მისი სათავისოდ გამოყენება რთული საქმე არ არის.

ამიტომაც უნდა იყოს გაზრდილი დელეგატების რაოდენობა, რომელიც შეეძლო თავად გადაეწყვიტა, რადგან 29-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სფფ-ს წესდებაში მისი გამოყენების მარეგულირებელ დებულებებში და ყრილობის რეგლამენტში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ ყრილობაზე.

თავის მხრივ, გაწევრიანების მსურველებმა უნდა მიმართონ ფედერაციის გენერალურ სამდივნოს.

გაგრძელება მე-11 გვერდზე

იუმორი

ქალიშვილი დედას ეუბნება:

– დედა, დისკოთეკიდან მოვედი.

– ვხედავ, შვილო, ჩაიცვი და დაიძინე.

●●●

მთავარი ექიმი საავადმყოფოს პალატებში შემოვლაზეა. პირველ პალატაში მივა ავადმყოფთან და ეკითხება:

– თქვენი დიაგნოზი?

– ბუასილი.

– რითი გმკურნალობენ?

– იოდით.

– პრეტენზიები გაქვთ?

– არა.

მივა მეორე ავადმყოფთან და ეკითხება:

– თქვენი დიაგნოზი?

– ბუასილი.

– რითი გმკურნალობენ?

– იოდით.

– პრეტენზიები გაქვთ?

– არა.

ექიმი მესამე ავადმყოფს ეკითხება:

– თქვენი დიაგნოზი?

– ანგინა.

– რითი გმკურნალობენ?

– იოდს მისვამენ.

– პრეტენზიები გაქვთ?

– კი.

– რა პრეტენზია გაქვთ?

– პირველს მე მისვამს ხოლმე.

●●●

დამკრძალავი ბიუროს განცხადება:

„ორს თუ ჩვენთან დაკრძალავთ, მესამეს უფასოდ ჩაგიდებთ მიწაში“

●●●

ბანკში მძარცველი შეიჭრა და დაიყვირა:

– ჩქარა, ფული!

– გაგისკდა გული, – გაუხარდა ბუღალტერს, – რევიზორი მეგონე!

●●●

პუტინი მოკვდა და ჯოჯოხეთის კარი შეაღო. იქიდან ეშმაკმა ქართული აქცენტით გამოსძახა:

– „ზახადი“, გენაცვალე...

●●●

ქალი ბაზრიდან სახლში ბრუნდება, ხელში ნაყიდი სანოვაგით სავსე პარკები უჭირავს. სადარბაზოში შესულს წინ შარვალჩახდილი მანიაკი აეტუზება. ქალი შეხედავს და შეჰკივლებს:

– ტიტუუუ... კვერცხების ყიდვა დამავიწყდა...

●●●

მამაკაცი ქალს ეკითხება:

– ჩუმად რატომ ხარ?

– მინდა და ჩუმად ვარ.

– როგორ გინდა და ჩუმად ხარ?

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოხვოხდი

შვეულად: 1. რაიმეს გარდაქმნა, შეცვლა; 2. მგზავრთა გადაყვანა, ტვირთის გადაზიდვა შუალედური პუნქტის გავლით; 3. სპილენძის შემცველი ლურჯი ფერის მინერალი; 5. მოსავლის ამღები სასოფლო-სამეურნეო მანქანა; 7. პოლონელი გრაფი, კომპოზიტორი, დიპლომატი; 9. სტადიონი კარდიფში; 13. ხვიარა მცენარეებით გამწვანებული ფანჩატური პარკებში; 15. ვიწრო გასასვლელი ძნელად მისადგომ ადგილებში, ჭაობში, მთებში; 16. სუპერმარკეტების ქსელის მფლობელი ფირმა საქართველოში; 18. ნავსადგური ისრაელში.

თარაზულად: 4. ტურისტთა, მოგზაურთა გზამკვლევი ცნობარი; 6. ფრანგული ლიქიორი; 8. მდინარეების შემსწავლელი ჰიდროლოგიის ნაწილი; 10. ტბა ჯავახეთში; 11. ზღვის სიღრმის გასაზომი ხელსაწყო; 12. სამი ან მეტი მუსიკალური ბგერის ჰარმონიული შეერთება; 14. ევროპელ ებრაელთა სალაპარაკო ენა; 17. კათოლიკე მღვდელი ბელგიასა და საფრანგეთში; 19. დახშული ზედაპირის მქონე ბურთისებრი სხეული; 20. გაერთიანებული ერების საერთაშორისო ორგანიზაციის ერთ-ერთი ოფიციალური სამუშაო ენა; 21. ტოკიოს ძველი სახელწოდება; 22. მუზეუმი ბერლინში; 23. უკრაინული ფარმაცევტული ფირმა.



შეადგინა თ.კოპალეიშვილმა